საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

[illegible]

ხუთშაბათი, 25 მარტი 1920 წ.

ერთობა

ფასი 3 მანეთი

[illegible] 1 თვით 75 მანეთი, [illegible] 3 მანეთი. [illegible] 5 მანეთი. [illegible] 4 მან. [illegible] 15×2 [illegible] 100 მანეთი. [illegible] ტელეფონი 16—62

№ 68 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციისა № 68

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღრმად დამწუხრებული მამა დომენტი, ძმა ალექსანდრე, და თამარა ვადაჭკორიები, დედა როზა სიმონის ასული ტერ-ვანოვისა აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ 25 მარტს დღის 2 საათზე გარდაცვალებიდან მეორმოცე დღეს გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი უდროოდ გარდაცვლილისა მე 5 კლასის მოწაფისა

ნინა დიმიტრის ასული ვადაჭკორიას

მოსახსენებლად ბათუმში სასაფლაოს ეკლესიაზე (სოუქსუზე). (2—2)

ღრმათ დამწუხრებული მამა ივლიანე, ძმა პროკოფი, რძალი ნინა და დები: ტონია და ანასტასია აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გვარდიელის

მაქსიმელ ივლიანეს ძე ინწკირველის

უდროოდ დაკარგვას. დასაფლავება მოხდება ხუთშაბათს 25 მარტს (სოფ. ლეგახნუში). (1065 1—1)

ღრმად დამწუხრებული სიძე ალექსანდრე და და ელენე შილიხოძენი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გვარდიელის

მაქსიმელ ივლიანეს ძე ინწკირველის

უდროოდ დაკარგვას. დასაფლავება მოხდება ხუთშაბათს 25 მარტს სოფ. ლეგახნუში. (1065 1—1)

ზარდაცემული და სულ ცეცხლ მოწამებული მშობლები: ბესარიონი და ლუსპინე და ძმა კლემენტი უწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი

ნადია ბესარიონის ასული ცომაიას

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (1062 1—1)

ღრმათ დამწუხრებული დედა ანეთა, ძმები: სანდრო და ვასიკო მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ მოკლე ხნის ავადმყოფობის შემდეგ ზუბალოვის საავადმყოფოში გარდაიცვალა პირველის შვილი, მეორეების და

ანტონინა თევზაძის ასული

გამოსვენება ხუთშაბათს 25 მარტს სამ საათზე საავადმყოფოდან ვაგზალში, დასაფლავება საჯევახოში. (1070 1—1)

სულ დათუთქული და ღრმად დამწუხრებული მშობლები: კოტე და ანასტასია, ძმები: სიმონ, მიხაკო, გრიგოლ და ნიკოლოზი, რძლები: ფიდოსი და აგრაფინა ფასიეიშვილები გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ შაბათს 27 მარტს დ. სურამში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი მათთვის დაუვიწყარი

სამსონ ფასიეიშვილის

სულის მოსახსენებლად (1071 1—1)

ეკატერინე ანტონის ასული, ზოია, გრიშა, კოტიკო, თათია [illegible] ასული, [illegible] ანტიპა ათანასის ძე, პოლკოვნიკი ნიკანორი ათანასის ძე, ეკატერინე ნიკოლოზის ასული, ანტონინა კონდრატეს ასული ბაზილევები, ეპოლინარი ათანასეს ასული გაგუა შვილებით ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, პირველი საყვარელი შვილისა, მეორენი ძმისა, მესამენი შვილის შვილისა, მეოთხენი ძმის შვილისა, მეხუთენი მაზლის შვილისა, უკანასკნელნი ძმის შვილისა პეტროგრადის უნივერსიტეტის მესამე კურსის სტუდენტ

ვლადიმერ ევსეის ძე ბაზილევსი

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა 26 მარტს, დილის ათ საათზე კუკიის სასაფლაოზე გამოასვენებენ ოლღას ქუჩ. № 26. პანაშვიდი 25 მარტს საღამოს ექვს საათზე. (1069 2—1)

საჭიროა ექიმები და ფერშლები

სახალხო გვარდიის პროვინციის შტაბებისთვის (სოხუმი, ახალციხე და ახალსენაკი) პირობების გაგება შეიძლება: სასახლე, საექიმო-სასანიტარო განყოფილება სახალხო გვარდიის მთავარი შტაბისა. სახელმწიფო ენის ცოდნა სავალდებულოა. (ნ. 3—2)

გენერალ კერესელიძის რაზმის უფროს მოსამსახურეთა საყურადღებოდ საქართველოს რესპუბლიკის

სამხედრო სამინისტრო აცხადებს

რომ მას კომპეტენციაში არ შედის ჯამაგირით და სხვა გვარ ფულით დაკმაყოფილება აღნიშნულ პირთა რაზმში სამსახურისათვის ამის გამო, შემდეგ მიმოწერის და დროს უბრალოდ დაკარგვის თავიდან ასაცილებლად ამ გვარი თხოვნებით ხსენებული პირები ნუღარ მიმართავენ სამხედრო სამინისტროს. (ნ. 3—3)

აპრილის პირველ რიცხვებში გამოვა სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ერთი ჯგუფის ყოველთვიური სამეცნიერო, სალიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალი

„მომავალი“

სარედაქციო კოლეგია მოუწოდებს სტუდენტებს მოაწოდონ შესაფერი მასალები. მასალების გადაცემა შეიძლება დროებით კანტორა „განათლება“-ში. თფილისი, ოლღას ქ. № 6. (3—3)

ახლო აღმოსავლეთის დამხმარე ამერიკული კომიტეტის

თფილისის განყოფილება

მ/წ 15 მარტს ჩერქეზიშვილის ქ. № 77-ში გაიხსნა უფასო

ამერიკული ამბულატორია

ქ. თფილისის ღარიბ მცხოვრებთათვის. ავადმყოფები მიიღება ყოველ დღე კვირა დღეების გარდა, დილის 12—4 საათამდე. 1060—1—1)

გალაქტიონ ტაბიძის მეორე =საღამო=

სახელმწიფო თეატრში

გაიმართება

ოთხშაბათს, აპრილის 7. ბილეთები დღეიდანვე იყიდება სახელმწიფო თეატრის კასაში.

მიწათ-მოქმედების სამინისტროს თფილისის მებოსტნეობის პრაქტიკულ სკოლაში მიიღება

დაკვეთა ყოველგვარი ბოსტნეულის ნერგებზე

მისამართი მუშტაიდის შესახვევი № 4. სკოლის გამგე გ. თოფურიძე. (ნ. 6—1)

საქართველოს სოც.-დემოკრატიული მუშათა პარტიის სიღნაღის სამაზრო კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ 1-ლ აპრილისთვის (ახალი სტილით) დანიშნულია სამაზრო პარტიული კონფერენცია. განსახილველი შემდეგი საკითხები: 1) სამაზრო კომიტეტის მოხსენება, 2) მოხსენებანი ადგილებიდან, 3) თანამედროვე მომენტი, 4) პარტიული მუშაობა მაზრაში, 5) სამაზრო ერობის სოც.-დემოკრ. ფრაქციის მოხსენება და 6) მიმდინარე საკითხები. თითოეულმა [illegible] ორგანიზაციის [illegible] გამოგზავნონ [illegible] კონფერენციაზე დასასწრებლად ორ-ორი წარმომადგენელი. კონფერენცია შესდგება ქ. სიღნაღში სასამართლოს შენობაში დილის 10 საათზე. (გ. 3—1)

ეშმაკის მათრახი

მორიგი ნომერი „ეშმაკის მათრახისა“ გამოვა შაბათს შემდეგის შინაარსით: [illegible] რკინის გზის სადგურის [illegible]; ბოლშევიკური [illegible]. [illegible] ლექსი; სცენა [illegible]. რკინის გზის ფელეტონი (პატარა გაზეთი) რკინის გზის უფროსის მოხელეთა [illegible]; სტატისტიკური ცნობები გორის რაიონში მიწის ძვრასთან დაზარალებულთა შესახებ და სხვ.

კარიკატურები: ბათუმი ტყვეობაში. [illegible] დამფუძნებელი კრების [illegible] 4 კარიკატურა ბოლშევიკების მეგობართან ბრძოლისა; [illegible] კარიკატურა ქუთაისის ცხოვრებიდან. [illegible]. რუკა მიწის ძვრით დაზარალებულ გორის რაიონისა. (უ. 2—1)

ექიმი [illegible] შინაგან სნეულებით ავადმყოფებს ღებულობს საღამოს 4—6 საათამდის. რუსთაველის ქუჩა № 32. [illegible] (ნ.—ი.)

არჩევნები აფხაზეთში

საქართველოს დამფუძნებელი კრების საერთო არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია რესპუბლიკის განაპირა ადგილებს. წარსულ ზაფხულში ეს გამონაკლისი ნაწილობრივად უკვე შეივსო: დამატებითი არჩევნები მოხდა ახალციხის, ახალქალაქის, ბორჩალოს, თიანეთის და სხ. მაზრებში. მაგრამ მაინც კიდევ გამორჩა რესპუბლიკის ზოგიერთი ადგილები, მთელი სოხუმის ოლქი, ბორჩალოს მაზრის ზოგიერთი თემები, თვით თფილისის ერთი საარჩევნო უბანი და ზოგიერთი სხვა. 27 მარტიდან ამ გამორჩენილ ადგილებში მოხდება დამფუძნებელი კრების არჩევნები. მათ შორის დამფუძნებელ კრების დღევანდელ შემადგენლობაზე გავლენის მოხდენა შეუძლიან მხოლოდ სოხუმის ოლქის არჩევნებს.

აფხაზეთში თავის დროზე ვერ მოხდა არჩევნები იმიტომ, რომ სწორედ ამ დროს, ეს რაიონი წარმოადგენდა სამხედრო ფრონტს, უკეთ ვთქვათ, ამ კუთხის ნაწილი ეჭირა დენიკინის შავ ლაშქარს და საქართველოს დემოკრატია ეხმარებოდა ამ რაიონის დახსნას დენიკინის მონობის უღლისაგან, რაც მალე კიდეც შესრულდა. ამის შემდეგაც სოხუმის ოლქი დიდ ხნის განმავლობაში ვერ ჩადგა წყნარ ცხოვრების კალაპოტში: ძლევამოსილი დენიკინის ჯარი მეტგზით მიიწევდა ჩრდილოეთისაკენ და უკვე მთელი რუსეთის გაერთიანება ეხატებოდა თვალწინ. შავი გენერლის გამარჯვება ჩვენი რესპუბლიკისათვის ისეთს საშიშროებას წარმოადგენდა, რომ ჩვენ მთელი ძალა უნდა მოგვეკრიბა სოხუმის საზღვრების გასამაგრებლად. სოხუმის ოლქი ნამდვილ სამხედრო ფრონტს წარმოადგენდა იმ დროსაც, სანამ არ გამოირკვა, რომ დენიკინის ლაშქარი ჩრდილოეთში საშინელს მარცხს განიცდის და სამხრეთისაკენ შემოსატევად იგი ვეღარ მოიცლის.

ახლა ნახევარ-წელიწადზე მეტია, რაც სოხუმის ოლქის ცხოვრება შედარებით ნორმალურად მიმდინარეობს. და ეს ნორმალური ცხოვრება [illegible] დაუტოვა ოლქს. დღეს მის მცხოვრებთ უკვე შეუძლიანთ ნაწილი თავისი ყურადღებისა სამხედრო ფრონტიდან თავის მოქალაქეობრივ უფლებების განხორციელებას მიაპყრონ.

ის არჩევნები, რომელიც 27 მარტს უნდა დაიწყოს, მრავალ მხრივ იქნება მნიშვნელოვანი.

მაგრამ ამ არჩევნებმა, უწინარეს ყოვლისა, უნდა გამოხატონ აფხაზეთის მცხოვრებთა პოლიტიკური სურვილები. ყველა პარტიები, რომლებიც არჩევნებში მონაწილეობას მიიღებენ, თავის პლატფორმით გამოვლენ. პარტია იმ დემოკრატიისა, რომელმაც იხსნა დენიკინის შავ ლაშქრისაგან სოხუმის ოლქი, გარკვეულს და ნათელს პლატფორმას წამოაყენებს. ეს პლატფორმა ახალი არ არის. იგი დიდი ხანია წამოყენებულია, უკანასკნელად ეს პლატფორმა განმარტა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა ნოე რამიშვილმა იმ სიტყვაში, რომელიც მან წარმოსთქვა ამა წლის 6 თებერვალს აფხაზეთის სახალხო საბჭოს სხდომაზე. მთავრობის სახელით მან განაცხადა, რომ „ერთად ერთი გზა საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ აღმშენებლობისა აქ, აფხაზეთში, არის გზა აფხაზეთის ავტონომიურ უფლებათა განმტკიცებისა და ისეთ პირობების შექმნისა, რომ მას შეეძლოს თანამშრომლობა რესპუბლიკაში მცხოვრებ ყველა ერებთან“. მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ ავტონომიას, რომლის ჩარჩოებშიაც მოექცევა აფხაზეთის ცხოვრება, თავის საზღვრები ექნება საქართველოს რესპუბლიკის დემოკრატიული წყობილება; დემოკრატიული აღმშენებლობა, დემოკრატიული ძირითადი კანონმდებლობა იქნება ის საერთო ნიადაგი, რომელიც შეაერთებს და შეადუღებს მთელ რესპუბლიკას მას განუყოფელ ავტონომიურ ნაწილთან—აფხაზეთთან.

სხვადასხვა ეროვნებებით არის დასახლებული აფხაზეთი. სხვადასხვა პოლიტიკური ინტერესები აქვს მის ეთნოგრაფიულად ჭრელ მოსახლეობას. უეჭველია სხვადასხვა პოლიტიკური პლატფორმები იქნება წამოყენებული არჩევნების დროს, მაგრამ ის პოლიტიკური დროშა, რომელიც შეიტანა აფხაზეთში საქართველოს დემოკრატიამ და რომლის ლოზუნგებიც ტრიალებს ცხოვრებაში დღიდან აფხაზეთის დახსნისა დენიკინის რეჟიმის მონობისაგან, ერთნაირ ანგარიშს უწევს აფხაზეთში მცხოვრებ ყველა ეროვნებას. და ჩვენ მოვუწოდებთ სოხუმის ოლქის მცხოვრებთა დემოკრატიულ ნაწილს განურჩევლად ეროვნებისა დადგეს ამ დროშის ქვეშ, ხელი ჩაჰკიდოს მთელს საქართველოს დემოკრატიას და მასთან ერთად განახორციელოს ის ლოზუნგი, რომელიც მის დროშაზე სწერია:

„ავტონომიური აფხაზეთი დემოკრატიულ საქართველოში“.

ვითომ ოპოზიცია

დამფუძნებელი კრების უკანასკნელმა ორმა სხდომამ მეტად დაგვღალა. ასეთი დაჩიავებული, ასეთი დაკნინებული და დაწვრილმანებული სხდომები ჯერ არ გვინახავს.

„მარცხენა“ ოპოზიცია ისე გატიტვლდა, რომ არამც თუ გონება, უბრალო რიგიანობაც დაჰკარგა და დამფუძნებელი კრების ტრიბუნა ძველი [illegible] მოეჩვენათ ეჭვით.

ავტორი ამ წვრილმანი კამათისა იყვნენ ისევ და ისევ ფედერალისტები და ეროვნები. დადიანი და ნუცუბიძე, ღლონტი და შენგელაია—აი ავტორები ამ წვრილმანი და [illegible] კამპანიისა, რომელსაც ადგილი აქვს დამფუძნებელ კრებაში. მათ დიდი და [illegible] სურვილი აქვთ, რაც შეიძლება მემარცხენე იყვნენ, მაგრამ, რადგან არ იციან „гдѣ лѣвая, гдѣ правая — ты сторона“ — ეძებენ [illegible] ყურეს, სახავენ ჭორებს, ეფლობიან წვრილმან და პირადულ საკითხებში, სტანჯავენ სხდომას, იწვევენ სიცილ-ხარხარს და ასე [illegible] თვით დამფუძნებელ კრებას.

უკანასკნელი მათი გამოლაშქრება ფოსტა-ტელეგრაფის უწყების შესახებ—ს ნამდვილი აპოთეოზი იყო ამ უღირსი და წვრილმანი კამათისა. რა არ თქვეს! რა არ მოჩმახეს! და მთელი ეს ჩმახვა, აშენებული ერთავად ჭორებზე და გაგონილზე, სწორედ ისე როგორც ჟაკი ამბობს:

ამან ეს სთქვა
იმან ის სთქვა
ამას ეს ქვა
იმას ის ქვა.

„ამან ეს სთქვა, იმან ის სთქვაო“ მოანდომა ბ. დადიანმა მთელი საათები და ერთხელაც კი ვერ იგრძნო თუ როგორ ამცირებდა ამ [illegible] ჭორიკანობით სხდომის მაღალ ტრიბუნას!

შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. რამიშვილმა ყოველივე [illegible], რომ ეს სამარცხვინო კამათი პრინციპიალურ ფორმულებში ჩაეყენებინა და ოპონენტები ამოეთრია იმ ლაფიდან, რომელშიაც ისინი ასე ღრმათ ჩაეფლნენ, მაგრამ ყოველივე ამაოდ გაიცდა. ეს დაამტკიცა საღამოს სხდომამ.

ბ. დადიანმა ერთხელ კიდევ აწონა სხდომა, ერთხელ კიდევ გაიმეორა ყოველივე ის, რისთვისაც ყური მოეკრა და ამ ჭორებით დატვირთული [illegible] გუდით მოხელეთა იმ ჯგუფს, რომლის დამცველიც ის გამოვიდა. აი თუ გინდ მოხელე ვინმე [illegible]. ეს ვიღაც თურმე ძველი რეჟიმის დროს ქართველების დევნაში კარიერას იკეთებდა. ახლა ის ფედერალისტია და მისი სახელის აღდგენა ბ. დადიანმა თავის პარტიულ მოვალეობად გაიხადა და სხდომაზე მხოლოდ იმის მოყვანა შესძლო, რომ ყოველივე ეს თურმე [illegible] ცილისწამების გამო, როგორც ეს აღნიშნა დეპუტატმა ქ. ნინიძემ.

ბ. დადიანს გამოექომაგა არქი-მემარცხენე [illegible] ბ. ნუცუბიძე.

ბ. ნუცუბიძეს დღემდე ვიცნობდით, როგორც ფილოსოფოს. ეს დიპლომი მას მისცა პარლამენტის ყოფილმა წევრმა ბ. მაჩაბელმა. აღმოჩნდა, რომ ის თურმე ფიზიოლოგიც ყოფილა, უნდა გენახათ რა ღრმა ანალიზით ამტკიცებდა იმ დღემდე გაუგებარ მოვლენას—თუ რატომ სტირის ადამიანი საერთოთ, საიდგან და რა იწვევს ტირილს და ცრემლებს.

[illegible] კაცი ვარ და უნდა გამოვტყდე: მე ვფიქრობ ბ. ნუცუბიძეს პროფესორის ადგილი უნდა მეორე ნუცუბიძის გვერდით და ამიტომ არის ასე ცდილობს ასეთ თემებზე ლაპარაკს. მართალია, სერიოზულად არ შეიძლება მის ცოდნაზე ლაპარაკი, მაგრამ ეს, ვფიქრობთ, არც ისე საჭიროა. ამ პატარა ნაკლს შეავსებს მისი გვარი. ის ხომ ნუცუბიძეა.

ბ. ოპოზიციის ასეთი ხმაურობის ერთ მიზეზად სრულიად სამართლიანად დაასახელეს ბოლშევიკების მოახლოვება. და მართლაც შენიშნულია, რომ, როგორც კი ბოლშევიკები გაიმარჯვებენ—ჩვენი ოპოზიციაც ტონს უწევს და თავის დონკიხოტურ იერიშებს ახშირებს. მაგრამ ამაოა მათი ნატვრა. ბოლშევიკები არც ისეთი ყოჩაღები არიან, რომ ასე ადვილად გაისეირნონ ჩვენს რესპუბლიკაში. მართალია, ამ ბოლო დროს მეტისმეტი ფეხმარდობა გამოიჩინეს, მაგრამ ეს იმიტომ რომ მისი მოწინააღმდეგენიც ისე სწრაფად გარბიან, რომ ვერც კი ეწევიან. მაგრამ იქ, სადაც დარაზმული ძალა შეხვდებიათ — მათი იერიშებიც ხელად შეჩერებულა და ჩვენ სრულ დარწმუნებული ვართ, თუ ბოლშევიკები მოისურვებენ აქეთ გამოსეირნებას—მალე დარწმუნდებიან, რომ ეს არც ისე ადვილია და მათი ძლიერებაც გათავდება იქ, სადაც იწყება საქართველოს რესპუბლიკის საზღვარი და ძლიერება.

ამ მხრით ჩვენ სრულიად დამშვიდებული ვართ და ჩვენი ოპოზიციის ოცნებაც—ბოლშევიკების საშუალებით ჩვენი კედლების შენგრევა, რომ „უკან თვითონ შემოჰყვენ“—ოცნებათ და მოგონებათ დარჩება...

განი.

დამფუძნებელი კრება

23 მარტის სხდომა.

თავმჯდომარე. ალ. ლომთათიძე.

მდივანი კ. ჯაფარიძე კითხულობს კომისიებში გადასაცემ კანონ პროექტებს და არტვინის ოლქის მცხოვრებთა დეპეშას, რომელშიაც გამოთქმულია იმედი, რომ ბათუმი და მისი ოლქი, როგორც საქართველოს უდაო ნაწილი—თავის დედა სამშობლოს შეუერთდება.

ი. სალაყაიას მოხსენებით უკამათოდ მიიღეს პროექტი საგარეო საქმეთა მინისტრის განკარგულებაში 5 მილ. მან. გადადებისა საგანგებო ხარჯების დასაფარავად.

ივ. გომართელის მოხსენებით დამფუძნებელი კრება უკამათოდ იღებს დეკრეტს, ევროპაში კომერციულ სააგენტოების დასაარსებლად და ეკონომიური მისიის გასაგზავნად 20 მილ. მან. გადადების შესახებ.

მისივე მოხსენებით მიიღეს ფოსტა-ტელეგრაფის ნიხრის გადიდების კანონი.

ი. სალაყაია მოახსენებს დამფუძნებელ კრებას, კანონ-პროექტს რესპუბლიკის ფოსტა-ტელეგრაფის ტელეფონის დაწესებულებათა შტატის და ხარჯთ აღრიცხვის დამტკიცების შესახებ. ამ დეკრეტის შესახებ ვრცელ სიტყვას ამბობს სამ. დადიანი, რომელიც აცხადებს, რომ მართალია იგი მომხრეა წარმოდგენილ დეკრეტისა, მაგრამ სურს ისარგებლოს შემთხვევით და აღნიშნოს ის ნაკლი, რომელიც არსებობს უწყებაში. ორატორი აღნიშნავს, რომ უწყებაში ისეთი ამბები ხდება, რაც არ შეეფერება დემოკრატიულ წყობილებას. პროფესიონალური კავშირის უფლებები ილახება, იდევნებიან არა სოციალდემოკრატები. მოხელეებს ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსი [illegible] ეპყრობა. [illegible] ბიუროკრატიზმი. რომ [illegible] ტელეგრაფი არა სასურველი პირებისაგან, ეგზამენები შემოიღეს მათთვის. ერთ და იგივე დანაშაულისათვის სხვა და სხვა სასჯელი არსებობს.

ნ. რამიშვილი უპასუხებს დადიანს და აღნიშნავს, თუ რა მდგომარეობაში იყო ფოსტა-ტელეგრაფის უწყება ამიერ-კავკასიის სეიმის დროს და რა მდგომარეობაშია დღეს ამ ქამად: ფოსტა-ტელეგრაფის უწყებაში რევოლუციის

ᲓᲦᲔᲡ

ლონდონის კონფერენციამ განიხილა ოსმალეთის ჯარის განიარაღების საკითხი.

ბელგიის ჯარები გადაყვანილ იქნა რეინის მარცხენა ნაპირზე.

ნიტის განცხადებით იტალია ინგლის-საფრანგეთთან შეთანხმებით მოქმედებას განაგრძობს.

უკანასკნელი გადატრიალების დროს გერმანიაში 8 ათას კაცამდე დაღუპულა

ხალხთა ლიგა რომში შეიკრიბება აპრილის 25 ან 26.

ინგლისური პრესის ცნობით სამხრეთ აფრიკის არჩევნებში მუშათა პარტიამ 19 ადგილი მიიღო.

——

დამფუძნებელი კრების დამატებითი არჩევნები მოხდება 27, 28 და 29 მარტს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ნება დართო ფოთით სომხეთში გატარებულ იქნან სამხრეთ რუსეთიდან ლტოლვილი სომხები.

შემდეგ გამეფებული ანარქია მოისპო, უწყებაში ნორმალური მუშაობა სწარმოებს, საქმე გაფართოვდა. თუ წინად იყო საქართველოში 89 ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება, ამ ჟამად 153 ფოსტ.-ტელ. განყ. აბონენტი იყო თფილისში 1800, ამ ჟამად 2300 აბონენტია, 200 სოფლებში ტელეფონები მოეწყო, ოლქის სახელოსნო გაფართოვდა, იქ ყოველივე საჭირო ხელსაწყოებს აკეთებენ, გატარდა ფოსტა ტელეგრაფის უწყებაში ნაციონალიზაცია, არავითარ პარტიულ დევნას ადგილი არ აქვსო.

(მინისტრის სიტყვას ვრცლად შემდეგ დავბეჭდავთ)

სიტყვა ეძლევა ფოსტა ტელეგრაფის ოლქის უფროსს დ. მგელაძეს, რომელიც აშკარებული ფაქტებით აბათილებს იმ ბრალდებებს, რომელიც წამოუყენა ფოსტა-ტელეგრაფის ადმინისტრაციას ს. დადიანმა. ოლქის უფროსი აღნიშნავს, რომ დადიანის მტკიცება, რომ სხვა პარტიის წევრ მოხელეებს იდევნებიან სამსახურიდან, სრულიად არ შეეფერება სიმართლეს. ჩვენ მოხელესაგან მოვითხოვთ მოვალეობის პირნათლად ასრულებას და სახელმწიფოებრივ ნიადაგზე დგომას. კამათი გადადის საღამოს სხდომისათვის. კრების დახურვამდე მიიღეს საბოლოოდ ტექსტები საგარეო საქმეთა მინისტრის განკარგულებაში 5 მილიონი მან. გადადების შესახებ და დეკრეტი ევროპაში კომერციული სააგენტოების დაარსებისთვის და ეკონომიური მისიის გასაგზავნად 20 მილ. მან. გადადებისა.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘ

ოთხშაბათს, მარტის 24 საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. პ. გეგეჭკორმა პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრისაგან შემდეგი ნოტა მიიღო:

ბ-ნო მინისტრო! პატივი მაქვს გაუწყოთ, რომ პოლონეთის მთავრობა მზათ არის იცნოს საქართველოს მთავრობა, როგორც დამოუკიდებელი ორგანიზაცია „დეფაქტო" იმ დრომდე, სანამ საზავო კონფერენცია არ იცნობს ხალხთა სურვილთან შეთანხმებულ „სტატუს" საქართველოს მიმართ.

პოლონეთის მთავრობას მტკიცეთ სწამს, რომ ამ ორ ქვეყნის საერთო ინტერესები ისე როგორც ურთიერთი სიმპატიები ახლო მომავალში საქართველოსა და პოლონეთს შუა მეგობრულ კავშირს დაამყარებს. ამ მიზნით პოლონეთის მთავრობა მოხარული იქნება ვარშავაში მიიღოს საქართველოს წარმომადგენელი, რათა ამით დაამტკიცოს თავისი სიმპატია. პოლონეთის მთავრობამ ეხლახან მინისტრ ტიტუს ფილიპოვიჩის თავმჯდომარეობით დანიშნა საგანგებო მისია, რომელიც ახლო ხანში წამოვა თფილისს, რათა მეგობრული დამოკიდებულება დაამყაროს. გთხოვთ კეთილმეგობრულად მიიღოთ ზემოაღნიშნული მისია. მიიღეთ და სხვ.

საგარეო საქმეთა მინისტრი პატეკი.
(საქ. დემ. საგ.)

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲘ

„ჩამოსულთა ნაამბობი".

დღიდან საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა, რუსეთის ზოგიერთ გაზეთებში, განსაკუთრებით დენიკინურში, შემოღებული სათაურით ცალკე განყოფილებები შემოიღეს, სადაც სხვადასხვა სიყალბით და ლვარძლით სავსე ცნობები იბეჭდებოდა საქართველოს შესახებ.

ეს ლვარძლი და, რაც უმთავრესი იყო, რუსი ხალხის წასისინება საქართველოს წინააღმდეგ მაშინ დაუმორჩილებლად ეგ ნებით რუსეთის განცალკევებულ ტერიტორიაზე.

ვადევნებდით რა თვალყურს იქაურ გაზეთებს და ინფორმაციას საქართველოს შესახებ, იმ დასკვნამდე მივდიოდით, რომ არავის, საქართველოდან ჩამოსულთაგან, არ შეეძლო იმ ცნობების მიწოდება, რაც გაზეთებში იბეჭდებოდა.

აქ ჩვენ საქმე გვქონდა „ჩამოსულთა ნაამბობის" ფორმით საქართველოს მტრების სისტემატიურ მუშაობასთან ჩვენი წყობილების სახელის გასატეხად, მათ ცდასთან ჩვენი რესპუბლიკის გარედან დასანგრევად.

სამწუხაროდ, იმ დროს რუსეთში არ აღმოჩნდა ისეთი ძალა, პიროვნებაც კი, რომელსაც აშკარათ გამოეთქვა თავისი აზრი, ეჭვი შეეტანა „ჩამოსულთა ნაამბობში", თუმცა ყველასათვის ნათელი უნდა ყოფილიყო „ნაამბობის" ფაბრიკაცია თვით რედაქციებშივე...

ეს ძველი ამბავი ჩვენ დავიწყებული გვქონდა, მაგრამ, როცა გუშინ ყაზბეგიდან გამოგზავნილი დეპეშა წავიკითხეთ ვლ. ჯუღელისა და სხვათა იმის შესახებ, თუ როგორ მიიღო და ღებულობს „დემოკრატიიდან" გამოქცეულ კულტურულ ძალებს ჩვენი რესპუბლიკა,—თავს ვეკითხებით: განა ისინი, როცა ფეხს შემოდგამენ საქართველოს ტერიტორიაზე, როგორც მოქალაქენი, არ მოიგონებენ იმ კამპანიას, რომელსაც საქართველოს მტრები აწარმოებდნენ?...

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, ბევრი მათგანი არ ყოფილა გაწყობილი ჩვენს წინააღმდეგ და ამიტომ ისინი წარსულიდან ბევრ რამეს მოიგონებენ...

ჩვენც უფლება გვაქვს მოვითხოვოთ და მოვისმინოთ საქართველოში „ჩამოსულთა ნაამბობი" იმის შესახებ, თუ ვინ უტეხდა საქართველოს სახელს, ვინ ან როგორის გზით ცდილობდნენ მის გარედან დანგრევას...

უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველაფერ ამას ჩვენი ხალხისთვის მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა ექნება...

წამიკითხავს, მინახავს, გამიგონია.

გაზეთებში **წამიკითხავს**: ვინაიდან სათბობი მასალის კრიზისია მოსალოდნელი, აზრათ აქვთ ელექტრონის ძალის მეტ მოხმარებაზე. გასართობებს, თეატრებს და სხ. ღამის 11 საათზე დახურავენო.

ქუჩებში **მინახავს**: ყველა დუქნის, მაღაზიის და სახლის წინ ელექტრონის ლამპები, ანთებული დილიდან საღამომდე და საღამოდან დილამდე.

წამიკითხავს: სოხუმის ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა ებრძოლოს ქუჩაში მოვაჭრეთ, ვინაიდან კალათებით, „იაშჩიკებით" და სხვა და სხვა ყუთებით ქუჩებს იკავებენ და მოსიარულეთ აწუხებენო.

მინახავს: თფილისის ქუჩებში ხელზე ჩამოკიდებული კალათით მოვაჭრე ყოველი ფეხის გადადგმაზე, აგრეთვე „ჩისტები" თავიანთი სკამებით, სახელოსნოებით, ტროტუარზე ჩამწკრივებულნი, ქალაქის გამგეობის ნებართვით.

მილიციის უფროსის ბრძანებაში **წამიკითხავს**: მილიცია ქუჩაში წესრიგს, სისუფთავეს იცავსო.

ქუჩაში **მინახავს**: მილიციონერი თოფით ხელში, მოქალაქე კი, მილიციის თვალწინ სახლის კედელზე აფიშების ტუმბოზე მიმდგარი, რომელიც, თუ შეიძლება ასე ითქვას—უწესოდ მოთხოვნილებას იკმაყოფილებს.

გამიგონია: ვაჭრობა მაღაზიებში, დუქნებში სწარმოებსო.

მინახავს: ვაჭრობა გაჩაღებული ეზოში შესასვლელ კარებში.

გამიგონია: ნავთი, მაზუთი და სხვა თხელი სათბობი მასალა საქართველოში აზერბეიჯანიდან შემოაქვთ, რისთვისაც აძლევენ ან სამაგიერო საქონელს, ან ჩვენს ბონებსო.

მინახავს ისეთი კაცი, რომელიც ამტკიცებდა: თხელ სათბობ მასალას თფილისში თვით მე მტკვარი იძლევა. მხოლოდ ამ მასალის გადასაზიდათ არის საჭირო შრომა ან ფულიო...

აბა, რა წაგიკითხავს, გინახავს, გაგიგონია, შენ,—ჩემო მკითხველო?!...

გ. შ.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ

(ფრანგული ცნობებიდან)

გერმანიიდან მოსული ცნობები გამოურკვეველია. მიუხედავათ ამისა, თითქოს მყარდება წესრიგი და მშვიდობიანობა. ბაუერის მთავრობა აცხადებს, რომ იგი ბერლინში დაბრუნდება მაშინვე, როცა კი აჯანყებული ჯარების უკანასკნელი ნაწილი ქალაქს დასტოვებს. ცნობები სპარტაკელების მოძრაობის შესახებ სხვადასხვა გვარია. საქსონიაში საბჭოთა მთავრობა გამოაცხადეს. ხემნიცში, პირნში და პლაუენში მდგომარეობის ბატონ პატრონი კომუნისტებია. „ეკო პარიზიენი" ამბობს: ბოხუმს, დორტმუნდს, გელზენკირხენსა და ვერნში მეტად დიდი მოძრაობა არ არისო.

გერმანიიდან მოსული უკანასკნელი ცნობების თანახმად რევოლუციონური მოძრაობა გრძელდება რურში, საქსონიასა და ბავარიაში. გერმანიის მთავრობა დიდძალ ჯარს აგროვებს აჯანყებულ ელემენტთა წინააღმდეგ.

გერმანიის გაზეთების ცნობით სახელმწიფო გადატრიალებას ჯერ ჯერობით უკვე 8000 მსხვერპლი შეეწირა.

გერმანიის მდგომარეობა ჯერ კიდევ დაუმშვიდებელია. ბერლინში უკიდურესებთან მოლაპარაკება გრძელდება. „ეკო პარიზიენ": წერს ყოველივე დასრულდება საქმიანი კაბინეტის შედგენით. რურის ოლქი კომუნისტების ხელშია. გაზეთები სწერენ, რომ მთავრობა ამ ჟამად რურში თავს უყრის დიდძალ ჯარს და როგორც კი რომელიმე ოლქში მოწესრიგდება მდგომარეობა, ამ ოლქიდან გადმოყავთ ჯარი და რურის ოლქში გზავნიან. ამ გვარად, სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან მრავალი რაზმები გაიგზავნა იქ. მეორე მხრით რურის ჯარის ხაზი ვეზელის ოლქის ჩრდილოეთით იმყოფება. სპარტაკელების მოძრაობა დაცხრობილია. აჯანყებულნი იძულებული იქნებიან მთავრობას დანებდნენ, თუმცა მხოლოდ იმიტომ, რომ შიმშილით არ დაიხოცონ. მაგრამ „ეკო პარიზიენის" ცნობის თანახმად მდგომარეობა გამოურკვეველია ჯერ ჯერობით.

საქსონიაში და ბავარიაში, სადაც ორი მიმდინარეობაა: ჩრდილოეთი მიისწრაფვის საბჭოთა ძალაუფლებისაკენ, რომელიც აღიარებულია ჰოფში და ნიურენბერგში, სამხრეთი კი უფრო კონსერვატიული და კათოლიკურია და გლეხთა პარტიის გავლენის ქვეშაა. ზომიერმა ელემენტებმა მიუნხენში კაბინეტი მოაწყვეს.

ბერლინში შეთანხმება მოხდა მუშათა სინდიკატებს და მთავრობის შორის. ხვალ ბერლინში დაბრუნდა სამი მინისტრი. ებერტს თანაშემწეობისთვის ელიან. ნოსკეს გადადგომა მიღებულია.

ბერლინში უკიდურესთა სინდიკატები, რომლებსაც მხარს უჭერენ დამოუკიდებელნიც, არ სცნობენ სინდიკატების ხელით ლეგიენის მთავრობასთან შეთანხმებას. უკიდურესი მემარცხენენი და მემარცხენენი ერთდებიან თავიანთ სურვილებში მთავრობის ჩამოგდების შესახებ. რურის სამრეწველო ოლქში თანდათან ეწყობა ძლიერი პროლეტარული ჯარი. უკანასკნელი ცნობების მიხედვით 4—5 სინდიკატმა საერთო გაფიცვის გაგრძელების სურვილი გამოსთქვა.

(ინგლისური ცნობებიდან)

მილერანმა განაცხადა, რომ საფრანგეთის მთავრობა გერმანიის ამბების მიმართ მაყურებლად დარჩება, სანამ მას დანამდვილებით არ ეცოდინება თუ რა სახეს მიიღებს ეს ამბები. მან მიიღო რწმუნება, რომ ბერლინის ახალი მთავრობა ხელშეკრულობის ყველა მიზანშეწონილ პირობებს აღასრულებს, მაგრამ საფრანგეთი სთვლის ყველა პირობებს.. (გამოტოვებულია).

მოხდა შეთანხმება... (გამოტოვებულია) მთავრობის შორის შემდეგ საფუძველზე რესპუბლიკის პრეზიდენტი უნდა იქნეს არჩეული ხალხის და არა რეიხსტაგის მიერ, მთავრობაში დროებით ისევ ებერტი დარჩება.

ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘ

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

24 მარტი.

ᲤᲠᲐᲜᲒᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ.

გერმანიის განიარაღებისათვის.

(დასაწყისი არ მიგვიღია). . სანამ დასმული იქნება კითხვა, თუ როგორი იქნებიან სპარტაკელები რურიდან გამორეკილნი, ნუ თუ არ უნდა ვიცოდეთ ჩვენ თუ გერმანიამ როგორ უნდა მოგვცეს იარაღი, რომლის შენახვასაც [illegible] ისე რიგად სცდილობს, სანამ გერმანიის მთავრობის მშვიდობისმოყვარეობის [illegible] გარანტიას, ნუ თუ მანამდის საჭირო არ არის მისი მეზობლებისა და მთელი ქვეყნის მშვიდობიანობის გარანტია? და თუ მოკავშირეთა მთავრობანი თავის თავზე იღებენ მოლაპარაკებას ამის შესახებ, საჭირო არის, თუ არა შეერთებული შტატების თხოვნა, რომ მან მონაწილეობა მიიღოს ამ მოლაპარაკებაში. მიუხედავად იმისა, დაამტკიცებს თუ არა ამერიკა საზავო ხელშეკრულობას, იგი უწინარეს ყოვლისა დაინტერესებულია ევროპის მშვიდობიანობის ხელის შეწყობაში. მთელი ქვეყნის ზავს შეუძლია მხოლოდ გერმანიის განიარაღების უზრუნველყოფა.

ოსმალეთის ჯარის განიარაღება

ლონდონის კონფერენციამ განიხილა მარშალ ფოშის ახალი მოხსენება ოსმალეთის ჯარის განიარაღების შესახებ.

იტალიის პოზიცია

ორშაბათს ნიტიმ იტალიის დეპუტატთა პალატაში მთავრობის დეკლარაცია წაიკითხა. მან განაცხადა: ჩვენ გვსურს საფრანგეთთან და ინგლისთან სრული შეთანხმებით ვიმოქმედოთ. საშიშარ მომენტში საერთო შეკრული კავშირი პასუხისმგებლობით განმტკიცებული უნდა იქნეს. ჩვენი დამოკიდებულება გულახდილია, წმინდაა და არავის არ შეუძლია მისი შერყევა.

მილერანი და ფოში.

კვირას მილერანი დიდხანს ეთათბირა მარშალ ფოშს.

გაფიცვის დასასრული.

ლუარის ოლქის მემადნეოთა გაფიცვა დასრულდა, რადგანაც საქმეში მთავრობა ჩაერია.

ლიბანის დელეგაციის პროტესტი.

ლიბანის დელეგაციამ საზავო კონფერენციას განუცხადა პროტესტი დამასკში მომხდარი კონგრესის წინააღმდეგ, რომელსაც სურდა ლიბანის ემირ ფეისალთან შეერთება.

ბელგიის ჯარები რეინის მარცხენა ნაპირზე.

ელაშაპელიდან „ჟურნალს" ატყობინებენ: ბელგიის ჯარები გადაყვანილია რეინის მარცხენა ნაპირზე. ანტანტის კომისია, რომელიც რეინის მარცხენა ნაპირზე იმყოფებოდა, გადავიდა მეორე ნაპირზე ისე, როგორც დიუსბურგსა და რურში მყოფი ჯარები.

ხალხთა ლიგა.

რომიდან იუწყებიან: 25 ან 26 აპრ. რომში შეიკრიბება ხალხთა ლიგის საბჭო.

საბჭოთა მთავრობის მოქმედების ანგარიში.

„იზვესტია" ბეჭდავს 1918 და 1919 წლებში საბჭოთა მთავრობის მოქმედების ანგარიშებს. ამ ხნის განმავლობაში დაპატიმრებული იყო 128 000 კაცი,

---

ᲐᲙᲐᲙᲘ ᲩᲮᲔᲜᲙᲔᲚᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

წარმოთქმული დამფუძნებელი კრების 19 მარტის სხდომაზე ბათუმის შესახებ.

(დასასრული)

იბადება მეორე საკითხი: განა ჩვენი მეზობლებისათვის ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ყველა ამას?

განა ვინმე წარმოიდგენს, რომ იარსებებს აზერბეიჯანის და სომხეთის რესპუბლიკები, თუ არ იარსებებს საქართველოს რესპუბლიკა? განა სად იყო რევოლუციის სამშობლო, რომელმაც გამოიწვია დემოკრატიული სახელმწიფო? განა ეს თფილისი არ არის? თქვენ გახსოვთ, რომ იყო დრო, როცა ბაქო ბოლშევიკების ხელში იყო, მაგრამ საქართველო კი არსებობდა. თუ საქართველოს რესპუბლიკა არ იარსებებს, მე გარწმუნებთ, რომ ვერ იარსებებს აზერბეიჯანის და სომხეთის რესპუბლიკები. ამ წერტილიდან უნდა გამოდიოდნენ ჩვენი მეზობლები, მაგრამ ამას, სამწუხაროდ, ვერ ვხედავთ. ჩვენ კიდევ არ გვაქვს იმედი დაკარგული, რომ ისინი შეიგნებენ თავის ინტერესებს. სახელმწიფოს დაარსების დროს აქვს მნიშვნელობა არა სიმპატიას და ანტიპატიას, არამედ—სასიცოცხლო ინტერესებს. განა აზერბეიჯანის და სომხეთის ინტერესი არ არის, რომ საქართველო არსებობდეს? განა მათ არ იციან, რომ ჩვენი დამოუკიდებლობა მჭიდროთ არის დაკავშირებული ბათუმის საკითხთან?

აზერბეიჯანი ამბობს ბათუმი არის კარი ჩემი ნავთისთვისო. ფოთი და პეტროვსკი, ეს არის საკითხის რეალური დასმა. აზიას ასე რეალურად მსჯელობა არ ჩვევია. მაგრამ მე ვსვამ საკითხს, როცა აზერბეიჯანი ამბობს, რომ ბათუმი არის ჩემი კარი, რად ავიწყდება მას, რომ ევროპისათვის გასავალი კარი ბაქოა? ჩვენთვის აქვს ბათუმს მნიშვნელობა პირველ ყოვლისა, როგორც ევროპაში გასავალ კარს, მაგრამ რად ავიწყდება აზერბეიჯანს, რომ იგივე ბათუმი ევროპისთვის აზიაში გასავალი კარია, მაშასადამე, ბაქოს გზით! სომხეთს თავის მხრით ავიწყდება, რომ ბათუმიდან გზა თფილისი, ალექსანდროპოლ ჯულფით თავრიზში ან სპარსეთში გადის. ეს სად არის ძმების ნასკვი, ე. ი. ცენტრალური პუნქტი, სადაც უნდა გადიოდეს სამივე რესპუბლიკის ყოფნა არ ყოფნის კითხვა, არის თფილისი, ხოლო თფილისი უბათუმოთ წარმოუდგენელია. ამრიგად, ბათუმში გარეშე ძალთა, მსოფლიო იმპერიალისტთა გაბატონება ნიშნავს მათ გაბატონებას თფილისზე, ბაქოზე და ალექსანდროპოლზე. აი რა ავიწყდებათ ჩვენს მეზობლებს.

მე რეალური პოლიტიკის მომხრე ვარ, აზერბეიჯანს რომ ჰქონდეს ინტერესი ბათუმში ჩვენს წინააღმდეგ, ეს რომ იყოს მისი სასიცოცხლო ინტერესი, კიდევ გავიგებდი. იყო დრო, როდესაც აზერბეიჯანი ფიქრობდა ოსმალეთთან დიდი იმპერია შექმნას, ეს იყო ტრაპიზონის ხანა. ეს იყო გროტესკური გატაცება, შეიძლება გასაგებიც. დღეს კი, როცა ოსმალეთი ჩამოვიდა სცენიდან, სასაცილო იქნება ის პოლიტიკოსი, რომელიც იტყვის, რომ იგი ძველი სახით ისევ სცენაზე გამოვაო, მე ვკითხულობ რას იცავს აზერბეიჯანი? გადაჭრით უნდა ვთქვათ, რომ ყველაფერს იცავს იგი ამ შემთხვევაში თავის დამოუკიდებლობის გარდა.

რაც შეეხება სომხეთს, ის უფრო მეტ ლოიალობას იჩენს, მან სთქვა თავის პრესაში, ბათუმი საქართველოსი უნდა იქნესო, თან დაურთო, ჩვენც ინტერესი გვაქვსო. რა თქმა უნდა, ინტერესი აქვთ აზერბეიჯანს და სომხეთს, მაგრამ ეს არის ჩვენი შინაური შეთანხმების საკითხი.

საქართველო თვით არის დაინტერესებული, რომ ბათუმი ღია იყოს მისი მეზობლებისთვის მე ვამბობ, ჩვენ რომ ერთი გირვანქა ნახშირი და ზეთი ქვა არ გვქონდეს, მარტო ეს გზა საკმარისია, რომ საქართველომ იარსებოს ეკონომიურად. ჩვენ ყველაზე დაინტერესებული ვართ, რომ ამ გზით ისარგებლონ ჩვენმა მეზობლებმა, ჩვენ გვინდა შუამავლობა გავუწიოთ ევროპასა და აზიას შორის. ეს იციან თვით მოკავშირეებმა და ეს იციან ჩვენმა მეზობლებმა.

მე გავიხსენებ ერთ სურათს, რომელსაც სომხეთის პრესის ლოიალობას აქ ეხება [illegible] დელეგაციის წინადადება პარიზში; ეს არის თავი და თავი—სიტყვა ერთია, საქმე მეორე; ჩვენ ყურადღებას ვაქცევთ საქმეს.

აქ აღნიშნა შემკითხველმა და საგარეო საქმეთა მინისტრმაც, რომ ბათუმის ოლქში რაღაც არანორმალური ამბები ხდება. ეს ჩვენც აღვნიშნეთ წინად. ჩვენ მოვისმინეთ ბათუმის შესახებ, რომ იქ არ არსებობს სახელმწიფოებრიობა, არ არის ადმინისტრაცია, არ არის მართლმსაჯულება, არ არის თვითმართველობა—არის მხოლოდ გამეფებული ანარქია—ე. ი., იქ არის ისეთი მდგომარეობა, რომელსაც ჩვენ ვერ ვხედავთ ძველი რეჟიმის დროსაც კი. შესაძლებელია რუსეთში კანონი არ ვარგოდა, მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ კანონს სრულიად ძალა არ ჰქონდა; არის რაიმე კანონი ბათუმში და ოლქში ან კიდევ მისი ასრულება? არა, ის უპატრონოდ არის მიტოვებული.

ასეთი მოთქვამს, ბატონებო, „პოგრომი" ბათუმში 12 იანვარს—ეს ჩვენ გვაოცებს, თუმცა დანაშაული ჩვენ არ მიგვიძღვის; უნდა გამოვსთქვათ იმედი გაწითლდებიან, უნდა გაწითლდნენ ისინი, ვისაც ამ საქმეში დანაშაული მიუძღვის.

განა ცოტა გაჭირვება განიცადა აჭარამ ამ მოკლე წარსულში, რომ კიდევ ახალი გაჭირვება თავზე არ დაატყდეს? ამ ომის დროს, როცა რუსეთმა მთელი აჭარა მოღალატეთ გამოაცხადა, განა აქ მხარეს ცოტა უბედურება დაატყდა თავზე? აქ ადგილი ჰქონდა ისეთ ეპიზოდებს, რომელთა შესახებ მე სახელმწიფო დუმაში ვლაპარაკობდი, და რომელიც ტანში ჟრუანტელს გვრიდა მსმენელთ. მთელი სოფლების დარბევა, გაძარცვა, მცხოვრებთა მასიური ჟლეტა, გადაბრუნება მტრის ბანაკში და ბევრი სხვა საზიზღარი მოვლენანი სრულიად ჩვეულებრივი იყვნენ. დიდი ადგილი ამ საზიზღრობაში ეჭირა მაროდიორების გაუპატიურებას, რომელსაც სჩადიოდნენ ძველი რეჟიმის სამხედრო ძალები. იყო აი ასეთი შემთხვევა: ერთ ოჯახში მოხუცი მამა გრძელ სკამზე დააკრეს, ხოლო მისი სულ ახალგაზრდა მზეთუნახავი ქალიშვილი მის თვალწინ გაუპატიურეს. მამა, რა თქმა უნდა, ჭკუაზე შეიშალა, ქალმა თავი დაიხრჩო. როგორც მოგეხსენებათ, ქალები ხშირათ გამოსცილდა „კაზაკების" დევნისაგან მთაში გარბოდნენ და მშიერ მწყურვალნი იქვე იყინებოდნენ. ერთ ასეთნაირად გაქცეულ ქალს, რომელსაც სიცივისაგან და შიმშილისაგან თავდაცვის უნარი დაეკარგა, შიმშილისაგან გამწარებულმა მისმა საკუთარმა ძაღლმა მკერდი ამოაღრღნა.

აი, ბატონებო, რა უნახავს აჭარას, ჩვენ ვიცით, რა საფრთხეს წინ იდგა საქართველო, რა ხიფათი მოელოდა მას როცა მისი შვილები გაფანტულები იბრძოდნენ აქ და რუსეთში მათი ღვიძლი ძმების—აჭარლების სახსნელად. მათ ამისათვის მადლობასაც კი სწამებდა ძველი მთავრობა, ბევრმა დიდი დევნაც კი განიცადა.

აი, ასეთი გაჭირვება უნახავს აჭარას მაგრამ რას ვხედავთ დღეს იმავე აჭარაში და თვით ბათუმში, სადაც ოკუპაცია არის გამოცხადებული? ხალხი დამშეული, ტიტველი, უფულები, ძველი რეჟიმის მსუნაგი მოხელენი დასევია მას, რომელნიც ათასგვარ ძალმომრეობას აძლენ მასზე არასოდეს რუსის „ჩინოვნიკებს" არ დასდგომიათ ისეთი დღე, როგორიც ახლა აქვთ მათ ოლქში და ქალაქში: სცარცვენ, არბევენ, სძარცვავენ, სჯიან სრულიად განუკითხავად ხალხს. იქ არ არსებობს არავითარი სამართალი, არც უბრალო ადამიანური მოპყრობა მოხელეთათვის. და ეს მაშინ, როცა აქ დემოკრატიული წყობილება არის გაბატონებული, სადაც წესიერება, ადამიანის და მოქალაქის უფლება და თავისუფლება უზრუნველყოფილია. განა გაგონილა, რომ საქართველოს ერთ ნაწილში ხალხი სტკბებოდეს პოლიტიკურ და მოქალაქეობრივ თავისუფლებით, ხოლო მეორე ნაწილში, ბათუმსა და მის ოლქში მოკლებული იყოს ყველა ამას? ვისი ბრალია ეს? ვინ დაუსია აჭარას ეს გამძვინვარებული რუსის მოხელენი, ვინ არის პასუხისმგებელი? რა თქმა უნდა, ის, ვინც დღეს იქ ბატონობს, ვის ხელშიაც არის საოკუპაციო ძალა-უფლება. თქვენ იცით ბათუმში დღეს ერთი ვეება საწყობია მანუფაქტურისა, სანოვაგისა, რომელიც ეყოფა მთელს კავკასიას, ხოლო იქ და ოლქში ცხოვრება აუტანელია ყოველ მხრივ. ყველა ეს სიმდიდრე სპეკულიანტების ხელშია, რომელნიც ნამდვილ მგლებივით და წურბელებივით მოსდებიან მცხოვრებლებს. პირდაპირ გაუგონარი სიძვირეა იქ, სამჯერ, ათჯერ მეტი, ვინემ აქ თფილისში. ვინ არის ამის პასუხისმგებელი? იგივე საოკუპაციო ძალა, თავის თავად ცხადია.

თქვენ იცით, მოქალაქენო, შარშან ადგილობრივმა აჭარა-ქობულეთის მეჯლისმა მთელი ოლქის წარმომადგენლობამ, სამჯეროთ მოითხოვა დედა-საქართველოსთან გაერთიანება და შესაფერი დეკლარაცია გადასცა მოკავშირეთა მისიებს, თვით პარიზის კონფერენციას გაუგზავნა იგი, გადასცა ჩვენს მთავრობას. მაშასადამე, მცხოვრებთა ნებისყოფა თანახმად თვით გამორკვევის პრინციპისა ყველასათვის აშკარა იყო. მიაქცია თუ არა ამას ყურადღება საოკუპაციო მმართველობამ? არა. პირიქით, მისი აგენტები რუსის მოხელენი დარბიან პროვინციაში, რომ ხალხი დააშინონ, მოატყუონ და ამ გზით აამხედრონ ის ჩვენს, მისი ძმების წინააღმდეგ.

ისინი დამარცხდნენ ბათუმში, არჩევნებში, როგორც იცით, დიდი უმრავლესობა, აბსოლუტური უმრავლესობა, ქართველებმა გაიყვანეს საბჭოს ხმოსნებად და ეს მაშინ, როცა იქ საქართველოს ძალა, მისი მთავრობა არ მოქმედობდა, როცა თავ შეკვრულად მუშაობდნენ მისი მტრები: დენიკინელები, ბოლშევიკები და ვინ იცის კიდევ ვინ, როცა ადგილობრივი დემოკრატია აუტანელ სიძვირის გამო ჯერ ისევ ნახევრად იქ არ ცხოვრობს და გადმოხვეწილია აქეთ, ჩვენს ტერიტორიაზე. საბჭო არჩეულია 29 თებერვლიდან, მაგრამ არ იწვევენ დღემდე. რატომ, რა მიზეზით! იმიტომ, რომ ის არის მტკიცე მომხრე ბათუმის და ოლქის საქართველოსთან შეერთებისა.

ახლა ეპირებიან აღწერის მოხდენას ბათუმში, სადაც აფარებული ლტოლვილებია რუსეთიდან, ტრაპეზუნდიდან. არა ქართველნი. უნდათ ისინიც შეიტანონ სიაში იმ განზრახვით, რომ აჩვენონ ქვეყანას თითქო ქართველები უმცირესობას შეადგენენ ბათუმში! განა ეს სამართალია? განა ქართველები მუდამ არ იყვნენ უმრავლესობაში ბათუმის საბჭოში კიდევ იმ დროიდან, როცა იქ პირველად შემოიღეს თვითმართველობა, ე. ი. მე-80-ეს წლებიდან? ვისა სურთ ეხლავინ თვალი? ვის უნდათ დაუმტკიცონ, თითქო ბათუმი საქართველოს ქალაქი არაა. ვინ გააშენა ეს ქალაქი? ქართველებმა. ეს იცოდა ცარიზმმა, არ იცის მხოლოდ დიდ ბრიტანეთის გენერლობამ!

ამასაც რომ არ სჯერდებიან! ქალაქის საბჭოს არ იწვევენ, ხოლო პროვინციისათვის ფიქრობენ „პარლამენტის" მოწვევას, „აჭარისტანის" პარლამენტის. როგორ იწვევენ მას? არის თუ არა საყოველთაო არჩევნები; არა, რა თქმა უნდა. სოფლის ყრილობებზე, ან კიდევ სრულიად დაუკითხავად სოფლისა, აცხადებენ ამა თუ იმ პირს, მათი ყმა და ერთგულს ამორჩეულად! ასე სჩადიოდნენ ოსმალონი, როცა იქ „პლებისციტს" აწყობდნენ. სასირცხოა, დამამცირებელი მოკავშირეთა პრესტიჟისათვის ასეთი საშუალებანი. ჯერ ერთი, სანამ საოკუპაციო მმართველობა განუკითხავი ბატონ-პატრონია მთელი ოლქის, მისგან მოწვეული „პარლამენტი" მხოლოდ სათამაშო ბურთი იქნება მის ხელში; მეორეც, რატომ არ იწვევენ მეჯლისს, თუ მართლა ხალხის სურვილი უნდათ გაიგონ? განა არ იციან, რომ მეჯლისი შესდგა კიდევ მაშინ, როცა ოლქში ერთი ქართველი ჯარის-კაცი არ ჰყავდათ? განა არ იციან, რომ ბათუმის ოლქიდან ჩამოცილება ნიშნავს სხეულისაგან თავის მოცილებას? განა მათგან მოგონილი „დამოუკიდებელი აჭარისტანი" შეურიგდება ბათუმის ჩამოჭრას. მის საერთაშორისო კონტროლის ქვეშ დაყენებას?

თქვენ იცით, მოქალაქენო, რომ ბათუმის ოლქში ირაზმებიან ჩეტნიკები, ისინი შემოდიან ლაზისტანიდან და დიდ საფრთხეს უმზადებენ რესპუბლიკას. ვინ რაზმავს ამ ჩეტნიკებს, ვინ აწარმოებს ოლქში ოსმალეთის ნაციონალისტების პოლიტიკას, ვინ ჰქმნის აუტანელ ანარქიას? მე ვკითხულობ ამას და მივყვებ სრულიად გადაჭრით: პასუხისმგებელი ისინი არიან, ვისაც მინდობილი აქვს ოლქის მოვლა. ჩვენ არ შეგვიძლია მოვითმინოთ არეულობა ოლქში, არ შეგვიძლია ხელმეორეთ ჩავაგდოთ ბათუმი საშიშარ მდგომარეობაში, რომელსაც ელტვიან ვრანგელის ფეშენები და რუსის ბოლშევიკები.

მათგან 21.032 კონტრრევოლიუციონერობისთვის, 19.763 სამსახურის დროს ჩადენილ ბოროტმოქმედებისათვის, 8 367 სპეკულაციისათვის, 2 317 ჩვეულებრივი ფულების დარღვევისათვის, 9.514 ბოროტმოქმედებისათვის.. დახვრეტილია 9.641 კაცი, მათგან 7.068 კონტრ-რევოლიუციონერობისათვის.

ინგლისური რადიოს ცნობები

(ბასრიდან)

რუსეთის ვითარება.

წითლებმა მურმანსკი აიღეს. ბოლშევიკებსა და ლატიშებს შორის ბრძოლა გრძელდება. წითლები პოლონელების წინააღმდეგ შეტევაზე გადავიდნენ და ოვრუჩი უკან დაიბრუნეს. ყირიმში სივაშთან ბრძოლაა. აღმოსავლეთის სექტორზე წითლების შეტევა გრძელდება.

სამხრეთ აფრიკაში.

სამხრეთ აფრიკის არჩევნებში მუშათა პარტიამ 19 ადგილი მიიღო.

ბოლშევიკების ცნობები.

სამხედრო ცნობა.

მოსკოვი. მარტის 23 მურმანის მიმართულებით ჩვენი ჯარი კემის დასავლეთით 55 ვერსზე იბრძვის. ოლონეც კოროსტენის რაიონში კოროსტენ სარნენსკის რკ. გზასთან ბრძოლა გრძელდება. ვოლინის ნოვოგრადვოლინის ჩრდილოეთით 10 ვერსზე მტრის იერიშები მოვიგერიეთ. ლეტიჩევთან დერაჟნის სამხრეთით ბრძოლა ცვალებადია. სიმფეროპოლის რაიონში კოპალზე ჩვენი შეტევა გრძელდება.

მშრომელი არმია.

ტროცკი პირველი მშრომელი არმიის შესახებ სწერს: „როდესაც კავკასიაში მდგომარეობა გაუმჯობესდა, სწერს ტროცკი, ჩვენი არმიის აპარატის ლიკვიდაცია დავიწყეთ, მისი შემადგენელი ელემენტები შრომის მიზნებისათვის გამოვიყენეთ, რამაც რამდენიმე ათასი ხელოსანი მუშა მოგვცა, ისინი იგზავნებიან ფაბრიკა ქარხნებისაკენ. ამგვარი გზით იქნება შეკეთებული სახელოსნოები. კავალერია უმეტეს ნაწილად სასურსათო მიზნებს ემსახურება. მიუხედავათ ცუდი პირობებისა, პურის მოზიდვა გაძლიერდა. ქვეითი ჯარი უმეტეს ნაწილად ხე-ტყის საქმეს აწარმოებს. ამ ჟამად წითელი არმიის ნაწილები რომლებიც გამოყენებულნი არიან როგორც სამუშაო ძალა, ყოველ მხრივ თავიანთ შრომის ნაწილებზე მაღლა დგანან, რომლებიც მოწვეულნი არიან პირდაპირ შრომის ბევრის მოსახლეობით, როგორც მაგალითად, თოვლის გაწმენდაში. სამხედრო ნაწილებს აქვთ უპირატესობანი, წესრიგი, მკაცრი დისციპლინა და სხვა. შრომის წარმოების გადიდების ძირითად პირობებს, როგორც წითელი არმიისა, ისე ყველა მუშებისათვის, წარმოადგენს შეჯიბრება. შეჯიბრების ორგანიზაცია არის მთავარი მიზანი მეურნეობის ადმინისტრატორებისათვის ამ მოძრავი სუბიექტური ძალის დაუზოგავად—ვერ გვიშველის ვერც ტორფი, ვერც ნახშირი, ვერც ნავთი და ვერც ბლოკადის მოხსნა. შეჯიბრებას მხარი უნდა დაუჭირონ, როგორც სულიერმა, ისე მატერიალურმა ფაქტორებმა. ჯილდოებულთა როგორც კორპორატიული, ისე ინდივიდუალური შრომის ჩემპიონების გრძნობა ყოველ გვარათ იქნეს აღზრდილი.

ახალი ამბები

თფილისის ქალაქის საბჭოს საარჩევნო კომისია ამით აცხადებს, რომ 27, 28 და 29 მარტს მოხდება დამფუძნებელ კრების დამატებითი არჩევნები დიდუბეში მე-50 ე საარჩევნო უბანში, მე-12 უბნის სასურსათო კომიტეტის ბინაზე, ელისაბედის და გლდანის ქუჩების კუთხე.

◆ **სომეხი ლტოლვილები.** ფოთის სომხეთის საკონსულო ამ დღეებში ნოვოროსიისკიდან მოელის გემ „ფორტუნას" სომეხ ლტოლვილებით. შინაგან საქმეთა სამინისტრომ განკარგულება მოახდინა, რათა ისინი საქართველოს ტერიტორიით გაშვებულ იქნან სომხეთში იმ პირობით, რომ მგზავრობის დროს არსად შეჩერდებიან.

◆ **პურის რაციონის გადიდება.** „მუშათა მაგიდამ" გადასწყვიტა 28 მარტიდან გაადიდოს პურის რაციონი. შესაბამისად ნახევარი გირვანქის მაგიერ მიეცემათ 1 გირვანქა პური სულზე, გირვანქა 6 მანეთად.

◆ **ბრიტანეთის უმაღლესი კომისარი** უორდროპი სთხოვს საგარეო საქმეთა მინისტრს ე. პ. გეგეჭკორს უარყოს გაზეთებში მისდამი მიწერილი სიტყვები „ინგლისის ზოგიერთ ოფიცერთა მოქმედება ბათუმში მე მაფიქრებს," რომელიც მას არ უთქვამს.

◆ **მუსულმან ლტოლვილთა მდგომარეობა.** ახალციხისა და ახალქალაქის მაზრაში ყარსის ოლქიდან გამოქცეული მუსულმანი ლტოლვილები სურსათისა და ტანისამოსის მხრივ აუტანელ მდგომარეობაში არიან. ამის გამო შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიმართა აზერბეიჯანის დიპლომატიურ წარმომადგენელს დახმარება აღმოუჩინოს ლტოლვილებს. შინაგან საქმეთა სამინისტრო თავის მხრით ყოველივე ზომებს ღებულობს მათ დასახმარებლათ.

◆ **80 მილ. მანეთი სესხი.** თანახმად საბჭოს დადგენილებისა, თფილისის ქალაქის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რათა სახაზინო ხაზინიდან ქალაქს მიეცეს 30 მილიონი მანეთი გრძელვადიანი უსარგებლო სესხი. შინაგან საქმეთა სამინისტრომ თავის მხრივ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, რომ გამგეობის თხოვნა დაკმაყოფილებული იქნას.

◆ **არტაანის ოლქიდან** მიღებული ცნობებით იქ შიმშილობაა. ოლქის უფროსი შუამდგომლობს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რათა მცხოვრებლებს მიეცეს უფასოთ სურსათი და სათესლე, ამასთანავე ის შუამდგომლობს დაუყოვნებლივ გაიგზავნოს ოლქში ექიმი და ფერშალი საჭირო მედიკამენტებით ეპიდემიასთან საბრძოლველად და ეგრეთვე მსაჯული ოლქში თავმოყრილ სისხლის სამართლის საქმეების გასარჩევად.

◆ **ხაშურის დეპოს წევის განყოფილების** მოსამსახურეებს ბუღალტერიაში საქმის დაგვიანების მიზეზით ჯამაგირები 20 მარტის მაგივრათ 22 მარტს დაურიგდებათ; ამის გამო პროტესტის ნიშნათ დეპოს წევის განყოფილების მოსამსახურეთა ზოგიერთ უპასუხისმგებლო ელემენტების მიერ მოწყობილ იქნა ერთ დღიური გაფიცვა მიუხედავათ რკინის გზელთა პროფესიონალურ კავშირის კატეგორიულ მოთხოვნილებისა,—არ მიეტოვებიათ სამუშაო და მიუხედავათ იმისა, რომ რკინის გზის ადმინისტრაციამ წინდაწინვე შეატყობინა მუშებს, რომ ჯამაგირები ოცდა ორ მარტს დაურიგდებათ, რაც კიდეც შესრულებულ იქნა. ასეთმა აღუშფოთებელმა და სრულიად დაუშვებელმა გამოსვლამ ხაშურის დეპოს შეუგნებელ მოსამსახურეთა ჯგუფისა, რომელთაც უწესრიგოთ მიატოვეს სამუშაო და შესწყვიტეს მუშაობა თითქმის მთელი დღის განმავლობაში, დიდი მატერიალური ზარალი მიაყენა ხაზინას და არეულ დარევა შეიტანა რკინის გზელთა დემოკრატიის წრეებში. რათა ძირშივე იქნეს ჩაკლული ასეთი ანარქისტული და საზიანო ქმნების განმეორების შესაძლებლობა, გზათა დეპარტამენტის დირექტორმა წინადადება მისცა რკინის გზებსა და გზათა ადმინისტრაციის უფროსებს დაუყოვნებლივ გამოიძიონ ეს საქმე, გამოარკვიონ ვინაობა ამ საქმის უშუალო წამქეზებლებისა და დაითხოვონ ისინი სამსახურიდან. ადმინისტრატიული გამოძიების მოსახდენათ ხაშურში გაიგზავნა საგანგებო კომისია გზათა დეპარტამენტის ინსპექტორის ინჟ. ნ. გვარამაძის თავმჯდომარეობით.

◆ **შორაპნის სამაზრო ერობის ხმოსანთა** მეხუთე ყრილობა დანიშნულია ამა მარტის 29 დღით, ორშაბათს ქ. ზესტაფონში.

◆ **გორის სამასწავლებლო სემინარიის მოწაფეთა საყურადღებოდ.** 29 მარტს ბორჯომში, ძველ კოლეჯის სასტუმროს შენობაში, იხსნება პანსიონი და დაიწყება მეცადინეობა. ამ დროისთვის ყველა სემინარიელი ვალდებულია გამოცხადდეს.

◆ **ს. დევდარიანის მოხსენება.** პარასკევს, საღამოს 5 ს. რკინის გზის სამმართველოში შესდგება რკ. გზის სამმართველოს ს. დემ. პარტ. წევრთა საერთო კრება. ამხ. ს. დევდარიანი გააკეთებს მოხსენებას მომენტზე.

◆ **გაზეთების შეწყვეტა.** რადგანაც ფულს არ აგზავნიან, ამიტომ მეორე დღიდან უკანასკნელათ გაეგზავნება გაზეთები: ოზურგეთში, ონში, რაჭაში და ხიდისთავში. გაზეთი შეუწყდება ჩქარა სტამბის კანტორა „განათლება"

კრებები.

დღეს, საღ. 6 ს. დანიშნულია მეოთხე რაიონული კოლექტივის წევრთა მორიგი სხდომა.

— დღეს, საღამოს 5 ს. შესდგება ს. დ. მ. პ. მესამე რაიონის კოლექტივის ჩვეულებრივი სხდომა (კახეთის ქ № 1).

— დღეს, საღამოს 5 ს. მიჩრის ბინაზედ (ბებუთოვის ქ № 22) დანიშნულია ს. ს. დ. მ. პ. მეექვსე რაიონულ კოლექტივის წევრთა მორიგი სხდომა.

უცხოეთი

32 მილიარდი რუსეთის აღდგენისათვის.

ბერლინიდან მიღებული ცნობით გასულ ზაფხულში საბჭოთა მთავრობამ მოიწვია სპეციალური კომისია, რომელსაც უნდა გამოერკვია ომითა და რევოლიუციით გამოწვეული რუსეთის ზარალი და იმ თანხის რაოდენობა, რაც საჭირო იქნება რუსეთის მეურნეობის აღდგენისათვის. კომისიამ წარადგინა შესაფერი ანგარიში, საიდანაც ირკვევა რომ აღნიშნული მიზნისათვის რუსეთს დასჭირდება 32 მილიარდი მან. ოქროთი ე. ი. 3 მილიარდი გირვ. სტერ. ომამდე არსებულ კურსის მიხედვით, გარდა ამისა, კომისიის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ მეურნეობის აღდგენამდე რუსეთს დასჭირდება 1.200.000,000 მან. სურსათ-სანოვაგე, რომელიც უცხოეთიდან უნდა იქნეს შემოტანილი.

მახნო

ბოლშევიკების ზურგში თანდათანობით იზრდება მახნოელების მოძრაობა, რომელიც ამ ჟამად თავრიდის, ეკატერინოსლავის და პოლტავის გუბერნიებში ვრცელდება. აჯანყებულნი შეიარაღებულნი არიან მძლავრ ლაშქრით, რომელშიაც უმთავრეს ნაწილად ცხენოსნები შედიან. ესხმიან თუ არა რომელიმე მხარეს მახნოელები, გარეკავენ აცხადებენ კომუნისტებს და მათ საბჭოებს. შემდეგ წინამძღვრებს აძლევენ გლეხებს და მუშებს თვით აირჩიონ წესრიგი; აღმასრულებელ რიგებით აძლევენ საგანგებო აზმებს, რომლებსაც ევალება ებრძოლონ ყოველგვარ ცდას საბჭოთა უფლების აღდგენის შესახებ. უკანასკნელ ცნობების თანახმად მახნოელები კიევისაკენ მიიწევენ.

გერმანია.

ნოსკე გერმანიის მდგომარეობის შესახებ. გერმანიის მდგომარეობის შესახებ მინისტრი ნოსკემ, სხვათა შორის შემდეგი განაცხადა: წესრიგი თითქმის ყველგან აღდგენილია, გარდა ვესტფალიისა და რურის რაიონისა. გაგზავნილ ჯარის ნაწილებმა პროვინციებში საჭიროთ აღადგინეს მთავრობის ავტორიტეტი, მუშებმა ეხლა უკვე დაინახეს მთელი სიმწვავე შექმნილ მდგომარეობისა და გადასწყვიტეს მუშაობა დაიწყონ. ანარქისტები მოუწოდებენ მუშებს გაფიცვისაკენ, მაგრამ უშედეგოთ. გერმანიაში არ არის ნიადაგი კომუნიზმისათვის. რუსული ბოლშევიზმი არ არის დაკავშირებული გერმანულ კომუნიზმთან. მართალია, ზოგიერთ პროვინციებში დაარსებულია საბჭოები, მაგრამ ისინი დიდ ხანს ვერ იარსებებენ. ჩვენი მთავრობა მოითხოვს მოკავშირეთაგან საზავო პირობების შემსუბუქებას; მაგრამ ამასთანავე განაცხადებს, რომ შეასრულებს მას, თუ გინდ ცვლილებებიც არ შეიტანონ საზავო ხელშეკრულებაში. ეს მაჩვენებელია იმის, რომ მთავრობა იარსებებს. კაპპისა და ლიუტვიცის შეთქმულების გამო უნდა დაისაჯონ მხოლოდ ლიდერები.

ავსტრია.

მონარქისტული მანიფესტაცია. ვენის „რაბოჩაია გაზ." იტყობინება, რომ 19 თებერვალს იქ მოხდარა სტუდენტობისა და ოფიცრების მონარქისტული მანიფესტაცია. დემონსტრანტების ლოზუნგი იყო: „ძირს რესპუბლიკა!"—„გაუმარჯოს იმპერატორ კარლს!" დემონსტრანტები მალე იქნენ გაფანტულნი სახალხო გვარდიის მიერ. გაზეთი ამ გამოსვლის შესახებ სწერს: ქვეყნის უბედურება რეაქციონერებს უნდა გამოიყენონ რესპუბლიკური წყობილების დასამხობათ მაგრამ მათი ძალა სუსტია. გარდა ამისა რეაქციონერებს ნიადაგი გამოაცალა მოკავშირე სახელმწიფოთა განცხადებამაც მის შესახებ, რომ ისინი არ დაუშვებენ გაბსბურგების ხელ-ახლა გაბატონებას.

ინგლისი.

კონცესია სპარსეთში. გაზ. „ტაიმს"-ი იტყობინება: რომ ინგლისის ერთ ერთ კომპანიამ მიიღო სპარსეთის მთავრობისაგან კონცესია რკინის გზის გაყვანის შესახებ. რკინის გზა გაყვანილი იქნება ქ. თეირანიდან ვიდრე კასპიის ზღვის ნაპირებამდე.

ქუთაისი

15 მარტს საოლქო სასამართლოს შენობაში გაიხსნა ნაფიც მსაჯულთა პირველი სესია. გახსნას დაესწრო იუსტიციის მინისტრი რ. არსენიძე, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და პარტიების წარმომადგენელნი. პირველი სიტყვით მიმართა იუსტიციის მინისტრმა, აღნიშნა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის მნიშვნელობა და უსურვა, რომ მათ გაემართლებინათ იმედი. შემდეგ მოკლე და შინაარსიანი სიტყვა წარმოსთქვა საოლქო სასამართლოს თავმჯდომარემ სიდამონმა.

— გასულ კვირაში ქუთაისში ჩამოვიდნენ იტალიელები, რომლებმაც ქალაქის მოურავ ლ. თოფურიძესთან ერთად დაათვალიერეს ქალაქის სხვადასხვა ადგილები. მათ აზრათ აქვთ აიღონ ქუთაისში ზოგიერთი კონცესიები.

— ქუთაისის სამაზრო ერობის ინიციატივით დაიწყო ქუთაის-წყალტუბოს რკინის გზის გაყვანა.

— იუსტიციის მინისტრმა რ. არსენიძემ დაათვალიერა ციხეები. მინისტრთან გამოცხადდნენ ებრაელების წარმომადგენელნი და სთხოვეს გადაეცა საქართველოს მთავრობისათვის, რომ ქართველი ებრაელობა არ იზიარებს თფილისში არსებულ რუსი ებრაელთა ნაციონალურ საბჭოს აზრს, რომელიც ებრაელების სახელით ავტონომიას მოითხოვს.

სატარიფო პალატა

23 მარტს შესდგა სატარიფო პალატის პრეზიდიუმის სხდომა. გასარჩევი იყო: 1) რუსეთის სატრანსპორტო და დამზღვევ საზოგადოების ფოთის სააგენტოს მოსამსახურეთა ტარიფი. 2) ნიმსის პროლეტარიატის შემადგენლობა ქალების ტანისამოსის მკერავთა მიერ შემუშავებული ზოგიერთ ნორმ სამუშაოს გადასინჯვა. 3) მკერავ ქალთა კავშირის თხოვნა სამუშაო ქირის 1 იანვრიდან 60 პროცენტით გადიდების შესახებ. 4) აჭარის შუშის ქარხნის მუშათა პროფესიონალური კავშირის განცხადება ტარიფის დარღვევაზე გარკვევის შესახებ. 5) ბორჯომის ერობის გამგეობის მოსამსახურეთა ტარიფი. 6) სენაკის ქალაქის თვითმართველობის მუშათა ტარიფი. 7. საკითხი იმათ შესახებ, ვისაც არ შეუტანია გადასახადი მუშათა სასურსათო ფონდში.

დადგენილ იქნა:—დმანის ტრინის მიერ შემუშავებული მოსატ ტარიფი დამტკიცებულ იქნას. დარაჯთა და მეეზოვეთა ჯამაგირი გადიდებულ იქნას 2100 მანეთამდ. მომატებული ტარიფი გავრცელებულ იქნას 1 მარტიდან.

— ნარდი სამუშაოს ქირა გადიდებულ იქნას ასი მანეთით იმ სამუშაოებზე, რომელზედაც თხოულობს პროფესიონალური კავშირი.

— მიღებულ იქნას 60 პროცენტიანი მომატება 1 თებერვლიდან. დროის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება მიენდოს სატარიფო პალატის პლენუმს.

— დურგლების სამუშაო ქირა გათანასწორებულ იქნას მეჩექმების სამუშაო ქირასთან ე. ი. 3200 მან.

— ბორჯომის ერობის გამგეობის პროექტი დამტკიცებულ იქნას 1 იანვრიდან.

— სენაკის ქალაქის გამგეობის პროექტი მიღებულ იქნას 1 იანვრიდან.

— იმ წარმოებებში, რომელთაც სასურსათო ფონდში არ შეუტანიათ გადასახადი, გადიდებულ იქნას ტარიფი 20 პროცენტით. სავაჭრო წარმოებებში ასეთ შემთხვევაში ტარიფი გადიდებულ იქნას მინიმუმ 20 პროცენტით.

ზარალი მიწის ძვრისაგან.

(ცენტრალური სტატისტიკური კომიტეტის მოხსენება მთავარ კომიტეტისადმი)

გორის მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა მთავარ დამხმარე კომიტეტის წინადადებით ცენტრალურმა სტატისტიკურმა კომიტეტმა მოახდინა სტატისტიკური გამოკვლევანი დაზარალებულ სოფლებში და ქალაქ გორში.

ჯერ კიდევ 22 თებერვალს გორში გაიგზავნენ სტატისტიკური კომიტეტის თავმჯდომარე და მთავარი სტატისტიკოსი. 28 თებერვალს მთავარი კომიტეტის წინადადების მიღების შემდეგ, იქვე გაიგზავნენ 11 სტატისტიკოსი ცენტრ. სტატისტ. საბჭოს თავმჯდომარის პ. პ. გელეიშვილისა და კომიტეტის თავმჯდომარის მ. მანდილიშვილის ხელმძღვანელობით. 29 თებერვალს სტატისტიკური ცნობები შეკრებილ იქნა სოფლებში—ადგილზე და ოჯახებში. შემდეგ გამომუშავებული იქნა მომავალი მუშაობის გეგმა, რომლის თანახმადაც მუშაობა რუისის თემიდან უნდა დაწყებულიყო. სტატისტიკოსებმა იმუშავეს: 5 დღე 11 კაცმა, 1 დღე—9 და 3 დღე—15 კაცმა—სულ 109 კაცმა ერთ დღეს და შეკრიბეს ცნობები 75 დაზარალებულ სოფლების შესახებ, რომლებშიაც საერთოდ 8 754 კომლი ითვლება; ამათგან დაზარალებულია—5.787 კომლი. ეს სოფლები მდებარეობენ ახალქალაქის, ატენის, ქარელის, რუისის, ხელთუბნის და მეჯვრისხევის თემებში.

ზარალის რაოდენობის მხრივ ეს სოფლები შეიძლება შემდეგ სამ კატეგორიათ გაიყოს:

ძალზე დაზარალებული სოფლები:

ატენის თემში—1) ზიღვისთავი—228 კომლი, 2) იხვრია—110 კომ., 3) ჯიბირი—16 კომ, 4) გარეატენი—50 კომ, 5) ატენი—200 კომ., 6) ცეცხლისი—14 კომ., 7) ბნავისი—58 კომ., 8) დიდი გორის ჯვარი—30 კომ., 9) პატარა გორის ჯვარი—14 კომ., 10) გომი—10 კომლი;

ხელთუბნის თემში—11) ფლავისცხი—145 კომ. 12) სვანეთი—140 კ., 13) ზაწვეთი—30 კ;

ქარელის თემში 14) სვრა—121 კომ, 15) კოშკები—24 კომ., 16) ბეთლემი—40 კომ;

რუისის თემში—17) თაინიბელი—62 კომ;

ახალქალაქის თემში—18) ზემო ხ[illegible]—225 კომ, 19) ბოლდი—460 კ. 20) მერეთი—325 კ. 21) ბარნაბიანთ კარი—63 კომ 22) ს[illegible]—120 კომ., 23) ყარაგაჯი—270 კომ, 24) [illegible]—320 კომლი.

ჩამოთვლილ 24 სოფელში შენობების დიდი უმრავლესობა ან სულ დანგრეულია, ან იმდენად დაზიანებული, რომ აშენება შეუძლებელია, თუ შენობა არ დაინგრა.

საშუალოთ დაზიანებული სოფლები:

ახალქალაქის თემში—1) ქვიშხეთი—13 კომ., 2) [illegible]—60 კომ., 3) ქვ ხოსი—300 კომ.

ატენის თემში—4) გვერდი—70 კომ. 5) ზ და [illegible]—25 კომ,

ქარელის თემში—6) ქვემო [illegible]—26 კომ., 7) ცხილი წყარო—14 კომ., 8) ზემო ხვედურეთი—160 კომ., 9) [illegible]—361 კომ., 10) [illegible]—43 კომ. 11) ქვემო ხვედურეთი—93 კომ.

რუისის თემში—12) რუისი—550 კომლი, 13) ბებნისი—54 კომ, 14) [illegible]შენი—13 კომ. 15) [illegible] წმინდა—11 კომ., 16) ურბნისი—160 კომლ.

ხელთუბნის თემში—17) [illegible]—85 კომ., 18) დიდი გარეჯვარი—60 კომ., 19) პატარა გარეჯვარი—115 კომ, 20) ქარაღეთი—340 კომ., 21) ზემო რეხა—15 კომ., 22) ქვემო რეხა—27 კომ., 23) ბერბუკი—35 კომ, 24) ხელთუბანი—167 კომ., 25) ახალსოფელი—84 კომ.

მეჯვრისხევის თემში—26) ფერმშა—171 კომ.

ჩამოთვლილ 26 სოფელში ნაკლები ზარალია, ვინემ ძალზე დაზარალებულ სოფლებში; მაგრამ, [illegible], დაზარალებულ შენობათა რაოდენობა კომლთა რაოდენობას უთანაბრდება.

შედარებით მცირე დაზარალებულია შემდეგი სოფლები:

ახალქალაქის თემში—1) ახალქალაქი—350 კომლი, 2) ფლავიანი—20 კომლი. 3) ახალსოფელი—15 კომ., 4) გომი—180 კომ., 5) ერთაწმინდა—151 კომ., 6) ჩრდილი—75 კომ., 7) ნაბი—65 კომ., 8) ახალციხე—117 კომ.

ატენის თემში. 9) მონასტერი—9 კომ., 10) ვანისთუბანი—31 კომ., 11) დოღ—28 კომ., 12) იხვევი—15 კომ., 13) ავგრთი—20 კომ.;

რუისის თემში 14) საციხეთი—40 კომ.

ხელთუბნის თემში. 15) ნაზარეთი—26 კომ., 16) პატარა მეჯვრისხევი—15 კომ, 17) ზემო სობისი—25 კომ., 18) ქვემო სობისი—65 კომ., 19) ზერტი—92 კომ., 20) ნადარბაზევი—80 კომ.

მეჯვრისხევის თემში. 21) მეჯვრისხევი—560 კომ., 22) ახრისი—77 კომ., 23) ზერთი—327 კომ., 24) კოტიშვილი—50 კომ., 25) კირბალი—91 კომლი.

ამ 25 სოფელში შენობების უმრავლესობის კედლები დაბზარულია, ზოგიერთები კი ცალკეთი ჩამონგრეულია.

ადამიანის მსხვერპლი შემდეგ ციფრებში გამოიხატება:

ყველა სოფლებში დაღუპულია: 111 მკვდარი, 36—მძიმეთ დაჭრილი, 60 მსუბუქათ დაჭრილი და 298 დაავადმყოფებული მიწის ძვრის გამო. დასახელებულთა რიცხვის მიხედვით პირველი ადგილი უჭირავს; 1) ზ[illegible]დის თავი—30 მკვდარი, 8 მძიმეთ დაჭრილი, 12 მსუბუქათ დაჭრილი და 9 დაავადმყოფებული; 2) ოხერა—16 მოკლული, 5 მძ. დაჭრილი, 6 მსუბუქათ და 9 ავადმყოფი: 3) ფლავის ცხი—15 მოკლული, 2 მძ. დაჭრ., 7 ავადმყ; 4) თინის ხიდი 9 მოკლული, 3 მსუბუქათ დაჭრ. და 2 ავადმყ; 5) დოისი—6 მოკლ 2 მძ. დაჭრილი, 4 მსუბ. დაჭრ. და 35 ავადმყ; 6) ზემო ხანძაკი—5 მოკლ., 5 მძ. დაჭრილი, 2 მსუბ. დაჭრ. და 18 ავადმყ: 7) სვრა—5 მოკლ. 2 მძ. დაჭრ., 4 მს. დაჭრ. და 2 ავადმყოფი; 8) გომი—4 მოკლული, 2 ავადმყოფი 9) ქვახრელი—4 მოკლული, 2 მსუბ. დაჭრ. და 1—ავადმყ 10) საციხეთი—3 მოკლ. 2 მძ. დაჭ 1 მსუბ. და 7 ავადმყ., 11) პატარა გარეჯვარი—3 მოკლ. 12) ხოვლე—2 მოკლ 1 მძ. დაჭ 6 მსუბ. და 40 ავადმყ. 13) ყარაგაჯი—2 მოკლ. 2 მძ დაჭ. და 38 ავადმყ. 14) რუისი—1 მოკლ. 2 მს. დაჭრ. და 26 ავადმყ. 15) ატენი—1 მოკლ. 1 მს. დაჭ 3 ავად. 16) ფლავიანი—1 მოკლ., 17) დიდი გარეჯვარი—1 მოკლული, 18) სვანეთი—1 მოკლ. 5 მძ. დაჭ. 2 მსუბ. და 1 დაავადმყ., 19) მეტეხი—1 მძ დაჭ. და 15 დაავადმყ., 20) ვერხვიკი—1 მძ. დაჭ. და 1 დაავადმყ. და 2 მს. დაჭ., 21) მეჯვრისხევი—1 მოკვდა დაავადმყოფების გამო, დაავადმყ 4

მსუბუქათ დაჭრილებია აგრეთვე ცეროდისში 1, გვარებში 1, ქარელში 4, ბეთლემში 1, ხელთუბანში 1 და 11 დაავადმყოფებული.

გორში სტატისტიკური ცნობები შეკრებილ იქნა 7 მარტს. მუშაობაში მონაწილეობას იღებდა სტატისტიკური კომიტეტის მთელი პირადი შემადგენლობა სტატისტ. საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგის — ტიმოფეევისა და მანდილიშვილის ხელმძღვანელობით—სულ 34 კაცი, რომლებმაც მაზრაში უკვე მომუშავე სტატისტიკოსებთან ერთად იმავე დღის მოათავეს მცხოვრებთა აღწერა და ქალაქის აღწერაც.

სულ აღწერილ იქნა 1336 შენობა. 1336 შენობიდან სულ დანგრეულია, ან დაშლილ იქნა—756 405 მოითხოვს კაპიტალურ რემონტს; შედარებით მცირე რემონტს ითხოვს—156 შენობა; სულ არ დაზიანებულა 16 შენობა და 3 შენობის დაზიანების ხასიათი არაა გამორკვეული.

ქალაქში მცხოვრებთა რიცხვი, რომლებიც სახლში ცხოვრობდნენ, უდრის 4 266 სულს, აქედან—მამაკაცი—1 652, ქალები—1.298 და ბავშვები—1 316 (15 წლისაზე ნაკლები). მოკლულია: 7 მამაკაცი, 4 ქალი და 7 ბავშვი; მძიმეთ დაჭრილები—10 მამაკაცი, 10 ქალი და 6 ბავშვი; მსუბუქათ დაჭრილი: 18 მამაკაცი, 14 ქალი და 17 ბავშვი; ავათ გახდნენ: 50 მამაკაცი, 95 ქალი და 47 ბავშვი.

ამრიგათ, წინასწარი შედეგები 20 თებერვალს მომხდარ მიწის ძვრისა შემდეგ ციფრებში გამოიხატება: ქ. გორში და გორის მაზრის 75 სოფელში საერთოთ დაზარალდა 7 118 კომლი. სულ მოკლულია—129 კაცი, მძიმეთ დაჭრილი—62, მსუბუქათ დაჭრილი—109 და დაავადმყოფებული—490,

ამ ჟამად ცენტრალური სტატისტიკური კომიტეტი აწარმოებს ანგარიშებს შეკრებულ მასალებს დამუშავების ხასია-

---

მე ვსვამ ერთ კარდინალურ კითხვას: ვინ აწარმოებს ლონდონის პოლიტიკას, თფილისში მყოფი უმაღლესი კომისარი, თუ ბათუმში მყოფი სამხედრო ძალა? საჭიროა მივიღოთ გადაჭრილი პასუხი ამ კითხვაზე. ჩვენ კი ვიტყვით საჯაროთ: ის, რაც ხდება ბათომში და ოლქში, ეწინააღმდეგება ინგლისის ინტერესებს. მაშინ, როდესაც ჩვენ ვსდგევართ ჩრდილოეთის ხიფათის წინ, როცა ბოლშევიკები და პან-ისლამისტები ლამობენ მთელი ამიერ-კავკასიის წაღებას, აზიასა და ევროპის მთავარ გზა და ხიდის ჩაგდებას, ბათუმის სამხედრო ძალის პოლიტიკა პირდაპირ ძირს უთხრის ჩვენს დამოუკიდებლობას და თავისუფლებას. ჩვენ არ შეგვიძლია მტკიცეთ დავიცვათ ჩვენი საზღვრები ჩრდილოეთით, მეტის მეტათ გაგვიჭირდება ეს, როცა ზურგს უკან ბათუმში და ოლქში ჩვენი ძმები ასეთ შევიწროებას განიცდიან, როცა იქ ზრდიდება ანარქია ბოლშევიკების და რეაქციონერების გაერთიანებული ძალებისა. ნუ თუ ცხადი არაა ჩვენთვის, რომ ეს პოლიტიკა არ არის და არ უნდა იყოს ლონდონის პოლიტიკა?! ეს იქნებოდა უარყოფა თვით ინგლისის საარსებო ინტერესებისა.

ჩვენ გვწამს, რომ ინგლისი და მისი მოკავშირენი მხარს უჭერენ ჩვენს დამოუკიდებლობას, მათ იცნეს იგი კიდევაც, მაშასადამე, ის, რაც ამას ეწინააღმდეგება, რაც ასუსტებს ჩვენი თავდაცვის ძალას, არის იმავე დროს საზიანო არა მარტო ჩვენთვის, არამედ ყველა იმათთვის, ვისაც სურს ამიერ-კავკასია დარჩეს შეურყეველი, არ იქნეს ამ გზით გადასროლილი ანარქიის ტალღები რუსეთიდან აზიაში.

ამიტომ ჩვენ ვერ ვეგუებით შეკითხვების აზრს, თითქო მოკავშირეების, განსაკუთრებით დიდი ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკას სწორეთ გაასუსტოს ბათუმის საოკუპაციო ძალა. ჩვენ ვფიქრობთ და გვჯერა სულ წინააღმდეგი. მოქალაქენო დიპლომატია კარგი საქმე არის, პოლიტიკაც კარგი საქმეა, მაგრამ ყველას ეჭირვება ხერხი. ძირი და საძირკველი უნდა ქონდეს მას მტკიცე.

და შემდეგ, მოქალაქენო, აქვე უნდა ვთქვა, რომ ჩვენი ობიექტიური მდგომარეობაც ისეთია, რომ ბათუმი ჩვენი უნდა იყოს—ყოფილა წარსულში და იქნება მომავალში. და თვით მოკავშირეთა, და განსაკუთრებით ინგლისის ინტერესები მოითხოვს, რომ ბათუმი ჩვენს ხელში იყოს.

მე შემიძლია კიდევ ერთი დავძინო, მოქალაქენო. იმ გადაწყვეტილებებში, რომელსაც მე არ ვფიქრობ იქნეს საბოლოო, ის არის დროებითი, ყოველ შემთხვევაში ჩვენ გვეხებით მას დროებითად, იქ არის ნათქვამი, რომ ბათუმი იქნება ხალხთა ლიგის კონტროლის ქვეშ. ჩვენ, მოქალაქენო, აქ ვხედავთ დამოუკიდებლობა. მაშინ აქ მთავრობის თავმჯდომარემ საქვეყნოდ განაცხადა, რომ ჩვენ შევდივართ ხალხთა ლიგაში, როგორც სწორი უფლებიანი წევრი, მაგრამ არა კონტროლის ქვეშ, ვინაიდან ჩვენ საკონტროლო არაფერი გვაქვს. ჩვენ შეგვიძლია დღესაც ეს ვაცხადოთ ბათუმის შესახებ. მას საკონტროლო არაფერი აქვს. ჩვენ ამისთვის არ გვიბრძოლია, ეს არ იყო ჩვენი მიზანი. ეს მიზანი იყო სრული თავისუფლება ჩვენი სახელმწიფოსი, ჩვენი მიზანი იყო საქართველოს გაერთიანება. ჩვენი მიზანი იყო ბათუმით სარგებლობა ისე როგორც ეს ჩვენთვის საჭირო იყო—ევროპასთან დაახლოვებისთვის. მაშასადამე, ჩვენი მიზანი იყო ბათუმი ყოფილიყო კარი აზიასა და ევროპას შორის. ეს იყო მიზანი და ვემსახურებოდით მას. ამხ. მე ვიტყვი, რომ ჩვენ არ დავეთანხმებით ძველი ანდერძი, რომელიც ამბობს: საქართველომ არ უნდა დაკარგოს არტაანის ხაზი, თუ არ უნდა თავის მთლიანობის დაკარგვა. ჩვენ გვახსოვს მეორე ანდერძი, რომელიც დაიწერა ბათუმში. ეს არის ის, რომ ჩვენ ჩვენს მომავალს უკავშირებთ დემოკრატიას, უკავშირებთ პროგრესს, წინსვლას ამ ორ ანდერძში სავსებით გამოხატულია და გადაჭრილი ჩვენი წარსული, აწმყო და მომავალი. ამის დამადასტურებელია მოხეტიალე ხალხი გარედან და მრავალი დევნილი ჩვენი მოძმე მაჰმადიანებისაგან ბათუმიდან. ჩვენ იმედი გვაქვს დამფუძნებელი კრება და მთავრობა თავიანთ მოვალეობას ღირსეულად შეასრულებენ და ეს მოწმობს, რომ ჩვენ ჩვენი წინაპრების ღირსეული შვილნი ვართ (ხანგრძლივი ტაში)

თის მიხედვით თვითეულ სოფლებში და სამშენებლო მასალის თვისების მიხედვით.

ტყის მასალა განზრახულია დანაწილებული იქნეს ქუჩებისა და კვარტალების მიხედვით.

შეკრებილი მასალების მიხედვით განზრახულია ქარტოგრამის შედგენა როგორც ქალაქის ისე მაზრისა.

ბათუმის გარშემო

ქუთაისი. (უმაღლესი საბჭოს წარმომადგენელს პოლ. მასკელს, ბრიტანეთის მთავარ კომისარს უორდროპს) ქალაქის თეატრში 19 მარტს საღამოს შემდგარმა მრავალრიცხოვანმა მიტინგმა მოისმინა რა ყველა პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენლების სიტყვები საქართველოს წინააღმდეგ მიმართული ძალმომრეობის შესახებ, რომელიც გამოიხატება საქართველოს ორგანიული ნაწილის—ბათუმის პორტო-ფრანკოდ გამოცხადებაში, ერთხმათ დაადგინა, გამოეცხადოს ენერგიული პროტესტი იმ უსამართლობის გამო, რომლითაც ფეხ ქვეშ ითელება საქართველოს სასიცოცხლო ინტერესები. საქართველოს უბათუმოთ ცხოვრება არ ძალუძს, საქართველოს მთელი ერი მზათ არის უკანასკნელი მსხვერპლი შესწიროს საქართველოს მთლიანობას და ხალხის უფლებების აღსადგენათ.

კრების თავმჯდომარე **მიხეილ გაბაშვილი.**

თელავი (ინგლისის, იტალიის, საფრანგეთის და ამერიკის მისიებს)- მრავალრიცხოვანი მიტინგი, შეკრებილი ზემო ხოდაშნის რაიონში 19 მარტს, აცხადებს უღრმეს გულისწყრომას განურჩევლად მიმართულების და ეროვნებისა იმ ძალმომრეობის შესახებ, რომელსაც ქონდა ადგილი ბათუმის საკითხის გადაწყვეტაში. ბათუმის საკითხის ასეთი გადაწყვეტა მიგვაჩნია ქართველი ხალხის უფლებების შელახვათ, მისი სუვერენული უფლებების უარყოფათ. მიტინგი მოითხოვს დამფუძნებელი კრებისაგან, რომ მან მიიღოს ყოველგვარი ზომები ბათუმის დასაბრუნებლათ საქართველოს წიაღში. ბათუმი ჩვენია და მის დასაბრუნებლათ ხალხი მზათ არის გაიღოს ყოველგვარი მსხვერპლი. მიტინგი სთხოვს უცხო სახელმწიფოთა მისიებს, რათა მათ დაარწმუნონ თავიანთი მთავრობა, რომ ბათუმი საქართველოს ღვიძლი შვილია, რომ საქართველო ვერ დასთმობს ბათუმს. ბათუმის ჩამოშორება ნიშნავს საქართველოს თავის მოკვეთას და მის დანაწილებას. გაუმარჯოს მთლიან საქართველოს!

მიტინგის დავალებით **ხანგაშვილი.**

ქუთაისი (ინგლისის, იტალიის, საფრანგეთის, სომხეთის და აზერბეიჯანის მისიებს). საყულიის თემის მოქალაქენი სასტიკ პროტესტს უცხადებს უმაღლეს საბჭოს ბათუმის საკითხის უსამართლოთ გადაჭრისათვის, ბათუმი უდავოდ ეკუთვნის საქართველოს რესპუბლიკას.

თემის ერობის თავმჯდომარე **მიქაბაძე.**

სავაჭრო სამრეწველო პალატა ბათუმის შესახებ

18 მარტს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის კომიტეტმა მოისმინა ცნობა შესახებ იმისა, რომ ქალ. ბათუმი გამოცხადებულ იქნა პორტო-ფრანკოდ, განიხილა იგი ყოველ მხრივ და დაადგინა:

1) ყოვლად შეუძლებელია, რომ უაღრესად დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის ციხე პორტი ბათუმი გადავიდეს უცხოელთა ხელში, რადგან აქედან საქართველოში მომავალი კარები და გზები მუდმივ გახსნილი იქნება;

2) თანახმად ანტანტის მიერ აღიარებულ კეთილშობილ პრინციპისა შესახებ ერთა თვითგამორკვევის უფლებისა, აჭარამ უკვე გამოსთქვა თავისი სურვილი დიდი საქართველოსთან შეერთებისა, ამიტომ ბათუმის ჩამოჭრა უდრის ანტანტის მიერ თავისივე პრინციპების გაბათილებას;

3) 1783 წლის ხელშეკრულების ძალით საქართველოს უნდა დაუბრუნდეს ის ადგილები, რომელსაც რუსეთი დაიპყრობდა და რომელნიც ოდესმე საქართველოს ეკუთვნოდნენ, ამიტომ ერთად ერთი და კანონიერი მემკვიდრე რუსეთისა ბათუმში მხოლოდ საქართველო უნდა ჩაითვალოს;

4) ბათუმის გამოცხადება პორტო-ფრანკოდ დასცემს ალებ-მიცემობას საქართველოში, რომლის ცენტრი გადავა ბათუმში, სადაც [illegible] პატრონობა იქნება უცხოელთა ხელში;

5) ბათუმი იყო და არის ეკონომიური ცენტრი აჭარისა, რომლის მოსახლეობას ეკარგება უფლება და საშვალება თავისუფალი სარგებლობისა საკუთარი ქალაქით;

6) საქართველო იძულებული იქნება გაამრავლოს საბაჟოები ბათუმის გარეშემო, რაც ზედმეტ ხარჯად დააწვება საქართველოს ხაზინას და გაუძნელებს სახელმწიფოს საბაჟო საზღვრების დაცვას ამ კუთხეში, ამიტომ პალატის კომიტეტმა დაადგინა:

1) გამოცხადდეს პალატის მტკიცე პროტესტი ამ უდიერ უსამართლობის გამო;

2) გადაეგზავნოს ეს პროტესტი ევროპისა და ამერიკის სავაჭრო სამრეწველო პალატებს და

3) ეს დადგენილება გადაეგზავნოს საქართველოს მთავრობას, რომელიც პალატის ღრმა რწმენით, მიიღებს და გამოიყენებს ყოველგვარ ზომა-საშვალებას ამ უსამართლო დადგენილების გასაუქმებლად და ბათუმის დასაბრუნებლად.

ეს დადგენილება გადაეცა ფინანსთა და სავარეო საქმეთა მინისტრებს, და უკვე გაიგზავნა პალატის წარმომადგენლების უცხოეთში იქაურ სავაჭრო პალატებისთვის დასარიგებლად.

სავაჭრო-სამრეწველო პალატა

23 მარტი, 1920 წ.

კ უ რ ს ი:

სტერლინგი: ა) ბანკნოტი	980
ბ) ჩეკი	920
ფრანკი ფრანგ. ა) ქაღალ.	23
ბ) ჩეკი	18
ლირა იტალიური ა) ქაღ.	16.50
ბ) ჩეკი	16
ლირა ოსმალური ა) ოქრო	1450
ბ) ქაღ.	245
გ) ჩეკი	238
მარკა გერმან. ქაღალდი	4,50
დოლარი	300
ჩეკი	270
მანეთი ყოფ. რუს. იმპ.	
ა) ოქრ. 10 მ.	1750
ბ) ქაღ. 100 მ.	300
გ) ქაღ. 500 მ.	1500

სენატში

საქართველოს სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის სადმინისტრაციო განყოფილების საკრებულოს სხდომაზე 1920 წ. 24 მარტს დანიშნულია განსახილველად შემდეგი საქმეები:

1. საჩივარი მარკ ისაიასძე ლოლუხანოვისა მიწათ-მოქმედების სამინისტროს აგრარულ კომისიის დადგენილებაზე, შესახებ მისი მამულისა სოფ. ვეძისში.

2. საჩივარი ნატალია დიმიტრის ასულის გრომოვისა შინ. საქ. მინისტრის განკარგულებაზე შესახებ მისი, გრომოვის, გასახლებისა.

3. საჩივარი ქალაქ თფილისის გამგეობის იურისკონსულტის ნიკ. ვექილ-კახიანისა თფილისის ოლქის სასამართლოს სააღმინისტრაციო განყოფილების 1919 წ., 13 სექტემბრის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც გაუქმებულია ქალაქ თფილისის გამგეობის 1919 წ. აგვისტოს დადგენილება ზელტოვოლსკის ბინის რეკვიზიციის შესახებ.

საბავშვო სამკითხველოსთვის პედაგოგიურ მუზეუმთან

ღია წერილი ჩემ ყოფილ და ახლანდელ მოწაფეებს, ყველა ნაცნობ და უცნობ ბავშვებს.

ძვირფასო თქვენ, ჩემო მეგობრებო, მოგმართავთ თხოვნით: ამ ხანად მომავალში ცენტრალურ პედაგოგიურ მუზეუმთან გაიხსნება საბავშო სამკითხველო. მუზეუმის წიგნთსაცავში, სამწუხაროდ, არ არის წიგნები არც ქართულ, არც სომხურ და არც თათრულ ენებზე, ესლა კი მათი შეძენა მეტად გაჭირდებოდა, მით უმეტეს, რომ მუზეუმს არა აქვს ამისთვის სათანადო სახსარი.

მჯერა თქვენგანს, ალბათ, სახლში მოეძებნება წიგნები, რომლებიც უკვე წაგიკითხავთ და რომლებსაც სიამოვნებით შესწირავთ სამკითხველოს საზოგადო სარგებლობისთვის. ნუ დაიზარებთ, შეაგროვეთ თქვენთვის გამოუსადეგარი ქართული, სომხური და თათრული წიგნები და გამოგზავნეთ მუზეუმში. ([illegible] სანაპირო ქუჩა, ყოფ. მე-2 გიმნაზიის გვერდით, ცენტრალური პედაგოგიური მუზეუმი ღიაა ყოველ დღე, გარდა კვირისა, 9 საათ. 3 საათ.), და მომავალი ნორჩი მკითხველი ამ თქვენ ღვაწლს მადლობით შეხვდება.

მარიამ მიხეილის ასული შალიკაშვილი—კალოუგინისა.

ს.-დ. პარტიაში

თბილისი. 18 მარტს შემდგა ჩვეულებრივი კრება მე 7 რაიონულ კოლექტივისა. დღიურ წესრიგში იდგა შემდეგი კითხვები: 1) 19 მარტის შესახებ, 2) მოხსენება თფილისის კომიტეტიდან 3) [illegible] და [illegible] მცირე კოლექტივის არჩევნები, 4) სამუშაო სოფელში ორგანიზაციის მოწყობა, 5) მდივნის შესახებ და სხ.

პირველ კითხვის შესახებ კრებამ გადასწყვიტა მოუწოდოს რაიონში მომუშავე ყველა დარგის მუშებს 10 ს. გამოცხადდნენ კოლექტივის ბინაზე, საიდანაც წავლენ მუშათა სასახლისაკენ. თფილისის კომიტეტიდან მოხსენებას აკეთებს ამხ. კვერნაძე, რომელიც კრებამ მიიღო ცნობად. დადგენილ იქნა მიეწეროს საჩქაროდ [illegible] და სოფლების მოიწვიონ კრება მცირე კოლექტივის ასარჩევად, საიდანაც გაიგზავნება კოლექტივის წარმომადგენლები. სამუშაო საწყობიდან მოხსენება გააკეთა ამხ. ცისაძემ, რომელმაც მოითხოვა კოლექტივს დაავალოს ადგილობრივ „[illegible]". კოლექტივმა მოისმინა განცხადება და დაავალა ამხ. სარჯველაძეს „[illegible]" მოწყობა. შემდეგ მოსმენილ იქნა განცხადება ახალი მდივნის შესახებ და გადასწყვიტეს შენახვის ში 3 თვეთა ჯამაგირი და ადგილი; ხოლო რომ საქმე არ შეფერხდეს, საჩქაროდ მოწვეულ იქნას ლოტერეით ახალი მდივანი. კლუბის კომისიას მიეცა წინადადება მომავალ სხდომაზე აუცილებლად წარმოადგინოს სია წევრობის მსურველებისა; უკანასკნელ კომისიაში დამატებით არჩეულ იქნა ამხ. ცისაძე.

პ. ლეჟავა.

ნავთლუღი. 15 მარტს, შესდგა საერთო კრება ქალაქის სასაკლაოს მუშა-მოსამსახურეებისა. თავმჯდომარეობდა ამხ. შენგელია, დღ. წესრიგში იყო: 1) გამოყოფა ქალაქის მუშებისა [illegible] მუშებისაგან [illegible], 2) საპნის ქარხნის შესახებ, 3) ზედმეტი მუშაობის ანაზღაურების შესახებ, 4) სახელმწიფო ენის შემოღება, 5) ტანსაცმლების მიუღებლობა ქალაქის თვითმართველობისაგან, 6) „კოტეჯების" შესახებ, 7) ქალაქის მუშების და ხელოსნების კავშირის მუშებს გადაწყვეტა დამოუკიდებელ (ცალ-ცალკე) [illegible]. საპნის ქარხნის შესახებ კრებამ გამოარკვია, რომ იქ ხდება ზოგიერთი ბოროტება და ამისათვის კრებამ დაადგინა ეთხოვოს ადმინისტრაციას დაინიშნოს ერთი ზედამხედველი. ზედმეტი მუშაობის შესახებ გამოირკვა, რომ ზოგიერთი პირები სარგებლობენ უკანონოთ, განზრახ ჰქმნიან ზედმეტ მუშაობას. ამისათვის კრებამ დაადგინა, არ იქნეს დაშვებული ზედმეტი მუშაობა და თუ ვინიცობაა უკიდურესი საჭიროება მოითხოვს, მაშინ არ მიეცეს ზედმეტი ღირებულება იმ პირებს, ვინც დგანან სასაკლაოში და აქვთ ქალაქის თვითმართველობის ხელფასი. სახელმწიფო ენის შემოღებისათვის მიეცა წინადადება ადგილობრივ ადმინისტრაციას ყველა მიზეზის გამო იქნას ყველა წიგნებში შემოღებული ქართული ენა. ტანსაცმლების მიუღებლობაზე ძლიერ აღელვდა მუშა-მოსამსახურეები. დაადგინეს, მიეცეს უკანასკნელი წინადადება ადმინისტრაციას ერთი კვირის ვადაში დაურიგდეს ყველა მუშა-მოს. ვისაც ეკუთვნოდა ტანსაცმლები. 1916—17 წ. ოტპუსკების შესახებ კრებამ დაადგინა, ეთხოვოს ადმინისტრაციას თითო კვირა ამ დღემდე მიეცეს ყველა მუშა-მოს. დასვენებისათვის, თანახმად ქალაქის თვითმართ. დადგენილებისა.

მდივანი: **პ. ბოკერია.**

ბათუმის სასტუმრო-სასადილოების და საკრებულოების პროფესიონალური კავშირის გამგეობა ამით აცხადებს ამავე დარგის სხვადასხვა ქალაქებში მყოფ მუშების საყურადღებოთ, რომ ქალაქ ბათუმში ნუ ჩამოვლენ იმ იმედით, რომ სამუშავარს იშოვნიან.

აქ უმუშევართა რიცხვი ბევრია, სამუშევარი კი არ არის.

პროვინცია

ახალქალაქის თემი (გორის მაზრა). ყველასათვის უკვე ცხადია, თუ რა დიდი ზიანი მიაყენა მიწის ძვრამ ქ. გორის და მის ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებლებს. ცის ქვეშ დატოვა ხალხი და მათი საქონელი. ასეთი დაზარალებული სოფლები ახალქალაქის თემში არის: ქვახვრელი, დოესი, ხიდისთავი, გრაკალი, ყარაღაჯი, ზემო-ხანდაკი, სასირეთი, ბრინჯის-თავი და მეტეხი. არის კიდევ რამდენიმე მსუბუქად დაზიანებული სოფლები, რომლებიც დახმარებას არც კი საჭიროებენ. მძიმეა მდგომარეობა ამ ზემო ჩამოთვლილ სოფლების მცხოვრებლებისა. უმეტეს უფრო იმიტომ, რომ აქ ეხლა მუშაობა მინდვრებში, რომლის მოსავლიდანაც მთელ თავის მომავალ იმედებს დაზარალებული გლეხი ამყარებს და ის კი, რომ დამშვიდებული შეუდგეს თავის მუშაობას, ამის ნაცვლად ის იმ ფიქრში და ცდაშია, რომ როგორმე მოიპოვოს რაიმე ქოხი თავშესაფარათ, ამ მხრივ დიდი დახმარება აღმოუჩინეს დაზარალებულთ მთავრობამ და ადგილობრივ დამხმარე კომიტეტებმა და ერობამ, გამართეს ყველა სოფლებში ბარაკები და ემზადებიან ყველაფერით, რამდენადაც კი შესაძლებელია. ამჟამად უნდა აღინიშნოს დაუღალავი მუშაობა ამ ხანის განმავლობაში რაიონულ ტექნიკის [illegible], რომელსაც დღე და ღამე უძღვებოდა მუშაობა, ვიდრე ყველგან ააგებდა საჭირო ბარაკებს, რომლის წყალობითაც მოკლე ხანში შესაძლებელი შეიქნა დაზარალებულ სოფლებში გაკეთებულიყო 18 ბარაკი სხვადასხვა ზომებისა, გარდა ამისა, რომ ცის ქვეშ დარჩენილებს მისცეს ადგილი ბარაკებში, ააგეს აგრეთვე ბარაკები კოოპერატივებისთვის და სკოლებისთვის. ერთი სიტყვით, ყველა ცდილობს როგორც და რითაც შეუძლია შეუმსუბუქოს მდგომარეობა დაზარალებულთ. დიდი მუშაობა აწევთ აგრეთვე თემის გამგეობის წევრებს, რომელნიც თავიანთ შრომას და ენერგიას არა ზოგავენ დაზარალებულთა ზრუნვაზე. უყურებს რა ყველა ამას დაზარალებული გლეხი, მხნევდება და იმედს არა ჰკარგავს მომავლისას. ის ეხლა დარწმუნებულია, რომ გაჭირვებაში დღეს მარტო არ არის. ის დაცემული შეძლებს ადგომას და ფეხს მოიკიდებს. ის ეხლა დამშვიდებული გულით უდგება თავის საყვარელ მუშაობას—მინდვრის დამუშავებას, ის ეხლა უკვე სულიერად ამდგარი შესძლებს მომავალში წელში გასწორებას.

გარდა ამისა ყველა, როგორც ახალქალაქის დამხმარე კომიტეტის მედიკო-სანიტარულ კომისიის ცნობებიდან გამოირკვა, ახალქალაქის თემის დაზარალებულ სოფლებში ნანგრევებში მოჰყოლიან და დახოცილან 14, მძიმეთ დაშავებულა 7, მსუბუქათ დაშავებულა 22. გაგიჟებულა 1 (შიშისაგან) და დასახიჩრებულა 65 ამ ზემო ნაჩვენებ რაიონიდან თფილისში გაგზავნილნი სამკურნალოებში 8.

გარეული.

ხოფ ქაუბუდი (ქუთ. მაზრა). 18 თებერვალს აქ დაიკეტა სკოლა. ამიტომ 7 მარტს შესდგა მთელი სოფლის კრება, რომელსაც დაესწრო [illegible] თემის საბჭოს თავმჯდომარე ბ. ი. ძნელაძე და საბჭოს სასკოლო კომისიები. აგრეთვე დაესწრო თემის გამგეობის თავმჯდომარე მ. გუგუნაძე. კრებამ დაადგინა: იქნეს გახსნილი დღიდან რიცხვიდან სასწავლებელი. 8 მარტს დაიწყო მეცადინეობა. ამავე დღეს გაიხსნა კოოპერატივის წევრთა წლიური საზოგადო კრება. წლიური ანგარიშის და სხვა საკითხების განხილვისას კრებას მოხსენება გაუკეთა პირველად გამგეობამ და მერმე სარევიზიო კომისიამ და გაეცნო მთელი 1919 წლის ანგარიშები, რომელიც კრებამ მიიღო და დაამტკიცა. ამ ანგარიშიდან გამოირკვა, რომ მთელი წლის განმავლობაში მოუგია კოოპერატივს 1971 მან. და 25 კაპ. კრებამ ეს მოგება ასე განაწილა: 500 მანეთი გადასცა ქ. გორში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ. 300 მანეთი ადგილობრივი სამკითხველოსათვის. 171 მან. 25 კაპ. გადასცა სათადარიგო თანხაში, ხოლო 1000 მანეთი გადასცა წევრებზე განაწილებულად. ამის შემდეგ მოხდა გამგეობის არჩევნები. აირჩიეს: 1) ს. შანიძე, 2) ლ. შანიძე და 3) ნიკოლაიშვილი. სარევიზიო კომისიაში: 1) ლ. შანიძე, 2) ლორია და 3) ა. შანიძე.

„ერთი წევრთაგანი".

წ.რ. რედაქციის მიმართ

უღრმეს მადლობას ვუცხადებთ შემდეგ პირებს: მაცაკა თარხნიშვილს და ვიქტორ პაულეს ძე შერიოტს, რომლებმაც შემოსწირეს ჩუღურეთის ახალ-გაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციას წიგნები პირველმა 1) Вселенная и человѣчество Т. Крэмери 2) ერფურტის პროგრამა, 3) Всемірная исторія 3 книгъ, თავის განსვენებულ ძმების ანტონის და გრიშას ხსოვნის აღსანიშნავათ, შერიოტმა 22 წიგნი საუკეთესო სახელმძღვანელოები გამოსადეგი მარქსისტთა ორგანიზაციისთვის.

ჩუღურეთის ახალ-გაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის თავმჯდომარე **ხ. იგ. ჩოჩია.**

მდივანი **ალ. გოდერძიშვილი.**

ბიბლიოგრაფიული შენიშვნა

ს. ერთაწმინდელი, „პოეტი არწივი", ლექსები 1910 წ.—1920 წ. ერთაწმინდელის ლექსთა კრებულს შეიძლება დაერქვას „კოჭლი წიგნი".

ეს ითქმის წიგნის როგორც გარეგან მხარეზე,—ისე შინაარსზე.

წიგნში დაბეჭდილია ლექსები 1910 წლიდან 1920 წლამდე.

ს. ერთაწმინდელი ათი წლის მოგზაური ყოფილა პოეზიის [illegible] უდაბნოში!

და ამ ათი წლის მოგზაურობაში ის [illegible].

ეს წიგნი შეიძლება [illegible] მისი, რომ არ ახლდეს ორიგინალობა და რამდენიმე სტრიქონი.

ეს ორიგინალობა არ არის ძლიერი პოეტური სახის, იგი ხასიათდება სიმკრთალით და უფერულობით.

ერთაწმინდელს უყვარს არწივი და ეს მის პირველებთან ერთად მართლაც საინტერესო ანალოგიურ მსგავსებას ჰქმნის, მაგრამ, როგორც პოეტი ამ არწივის სფეროში, იგი ოდნავათაც ვერ აღწევს ..

ერთაწმინდელი არ ეკუთვნის იმ პოეტების ჯგუფს, რომლებიც მართლაც მიიწევენ არწივის სფეროში პოეტური სიძლიერით, მიჰქრიან, რათა ცის სიმაღლემდე აიტანონ მიწიერ ჭაობში ჩამარხული პოეზიის მარგალიტები

აქ არის საშინელი ბრძოლა, გაცხარებული მუშაობა, წარმოუდგენელი სულიერი წამება, დაუნდობლობა, მაგრამ ეს არის ყველაფერი წმინდა პოეზიისათვის.

და ამ პოეზიის მოწმენდილ ზღვის მღელვარების, ამ დაუნდობელი ბრძოლისა და ორომტრიალის გარეშეა ერთაწმინდელი.

ის თითქოს არ განიცდის ამას.

ერთი ცხადია: ერთაწმინდელი არ არის ვისიმე ბრმა თაყვანისმცემელი, და ცხადია „კოჭლი ორიგინალობა" სჯობია სხვის ბრმა მიმბაძველობას.

და ათის წლის „პოეტურ სიარულით" მას მეტი უნდა ეცნა „პოეზიის დამალული მარგალიტები".

ის ძლიერი ტემპერამენტი და ცეცხლი, რაიც მასში არის, საფუძველს გვაძლევს მოვუთხოვოთ მას უფრო მეტი, პოეტის სახელისათვის.

წიგნში არის შეუწყნარებელი ადგილები.

მრავალი ლექსი აქვს ერთაწმინდელს ისეთი რითმებით, სადაც ერთ სიტყვასთან ერთად შეერთებულია ორი ან სამი სიტყვა, მაგრამ უმეტესობა ნაძალადევათ და არა ჰარმონიულად.

მაგალითები:

შეიძარ გარეშე
ან მკალ ზარეშე,ო!

—

მარტია სიღუმილო.
მე გიღუმილო.

—

ვიცოდე მაინც
ანუ ვარ მე ვინც?

რითმა: მნათობი-მეტრფობა და სხვა მრავალი. მეტ ლექსში არ არის დაცული უბრალო ტექნიკა და სწორი რიტმი.

არის კარგი ადგილები:

აზიის—ზის ოის, გურჯისტანის—ლურჯის ტანის, კარგია ლექსი „ზარია" (მთელ წიგნში ეს ერთი ლექსია გამართული).

ლამაზათ ჰქონდა ზოგიერთი სტრიქონი ლექსის: „წითელ არწივის", „თფილისის" და „ორთაჭალის პეიზაჟის".

„თფილისი" დაწერილია კარგი მცოდნე ხელით, მასში არის ტფილისის ცოდნა მაგრამ არ არის დამოკიდებელი თემის (როგორც „ტრიოლეტები შაითან ბაზარში" გრიშაშვილისა).

მეტი ჩვენ ვერაფერი ვიპოვეთ.

ერთაწმინდელს დაუწერია აგრეთვე მრავალი პიესა, აქვს პროზაც. ეტყობა: 12 წიგნის. შეიძლება პროზაში უფრო იყოს მისი მოწოდება! **X**

ფოსტა

საღ. ნატანები—კახიანე ქინქლაძეს. განცხადება ვერ მოვათავსეთ რადგანაც ძლიერ დაგვიანებით მივიღეთ, გვაცნობეთ რა გსურთ განცხადების ფულს.

განცხადებანი

სამრეწველო „ქიდლეს"
ნამდვილი ამერიკული სასწრაფოთ **იყიდება**
შეღავათიან ფასებში ბითუმად
და ცალობით **ა. ზავისტის**
ინგლისურ მაღაზიაში
რუსთაველის პრ. № 20, სახაზინო
თეატრის მოპირდაპირე. (1003 6—3)

იყიდება
პროექტორი
დინამო ნევტომატო ი ქ. თელავში და კინემატოგრაფის მთელი კომპლექტი.
მისამართი: ქ. თელავი, კინემატოგრაფი „ლირა" [illegible]. (1041 3—2)

სასწრაფოთ იყიდება
ორცილინდრიანი მოტოციკლეტი 4 ცხენის ძალ. სისტემის „ვანდერერისა"
მენაგრეთა შენობაში. მაისურაძე.

[illegible]

ექიმი
ნიკოლოზ [illegible]
განაახლა შინაგან სნეულებიან ავადმყოფთა მიღება ყოველ-დღე საღამოს 4—6 საათამდე მისამართი: მოსკოვის ქ. № 11 ზემელის აფთიაქის მახლობლათ.
(1012—6—4)

ექიმი ქალი
მ. მ. ალფეევი
წყნეთის ქუჩა № 26. იღებს ყოველ-დღე 12—2 საღამოს 6—7. სპეციალურად საზებით ქალების ავადმყოფობა. და ვენერიული ავადმყოფობა.

ექიმი
ნ. ლ. ცერიაშვილი
იღებს შინაგან, საზებით და ქალთა სნეულებით ავადმყოფებს მთელ დღე შუადღის 1—2 ს. და საღ. 4—5 ს. ნიკოლაძის ქუჩა, № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლოს. ტელ. 14—18. 119—ა.)

ექიმი
დიმ. კონსტ. მე ერისთავი
(ოზურგეთიდან)
იღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათ. სასამართლოს ქუჩა № 52.
(ო. 561)

ექიმი ა. ლევენშტეინი
შინაგ. და ნერვიული სნეულებანი. ექიმობა და გამოკვლევა ყველა თანამედროვე საშუალებებით. სპეციალურად: გულის, ფილტვების, კუჭ-ნაწლავების, ჭლექის და ნერვიულ სისტემის. რენტგენის და ელექტრო-სამკურნალო კაბინეტი. მიღება დილის 11—12 და საღამოს 4—7 საათ. კირილოვის ქ. № 5, ბინა 3. (471)

კერძო სამკურნალო
ექ. ე. მ. მძინარიშვილისა
პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. და კირონის ქუჩ. კუთხე № 22 ტელ. 10—87
მიღება ყოველგვარ სნეულებიან ავადმყოფებისა დილის 8—3 საათამდე, ვენერიულით, სიფილისით და კანის სნეულებით დაავადმყოფებულნი მიიღებიან აგრეთვე საღამოთი 4—7 საათ. ღარიბებისათვის უფასოთ დილის 8—11 საათ.
იღებენ ექიმები
ი. ქ. აბაკელია—შინაგან ავადმყ.
დ. გ. ჯავახიშვილი—შინაგანი და ბავშვების ავადმყ.
ა. გ. მადლაშვილი—შინაგ. ავადმყ. და მიკრო—ხიმ. ანალიზი.
ა. გ. მაჰვანიანი—ხირურგ. ავადმყ.
ე. მ. მძინარიშვილი—ვენერიულ, სიფილისის და კანის ავადმყ.
ნ. ს. თრემბიცკი—ყურის, ყელის და ცხვირის სნეულ.
ზ. მ. ცხვედაძე—თვალის ავადმყ.
ვ. დ. შადამბერიძე—ქალის ავადმყ. და საზებით.
სამკურნალოში სწარმოებს: კონსულტაცია, ოპერაცია, ელექტრიზაცია, მასაჟი, კანს ქვეშ შეშხაპუნება, ყვითელის აცრა, „606" და „914" შეშხაპუნება და აგრეთვე მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი (ნახველის, კუჭის წვენის, სისხლის, შარდის, განავლის და სხვ. (ო. 009)

ექიმი ა. დ. კეკელია
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9—11 და საღამოთი 4—6 საათამდე. მისამართი: მიხაილოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნიცა"-ს პირდაპირ. ტელ. 14—28.
(154—ო.)

ექიმი
ქ. ზ. მართანოვი
სპეციალურად კანისა და ვენერიული სნეულება (სიფილისი „606" და 914 შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. სერგიევის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (ო. 548)

დოქტორი მედიცინისა ყოფ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა
ბ. ზ. მეგრაბიანი
შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და ნერვებისა. იღებს რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში. გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით. ჭლექების აპერაცია—პნევმოტორაქსი. ყოველ დღე დილის 9—12 საათ. და საღ. 5—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 18, ტელეფ. 7—82.
მიწის ძვრისაგან დაზარალებულებს ექიმობს უფასოთ. (ო.626)

ექიმი [illegible]
სპეციალურად სიფილისი და კანის სნეულება (შეშხაპუნება „606" და „914" ვენერიული (გონორეა) და საშარდე ორგანოების სნეულებანი, ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე დილის 9—11 და საღამოს 5—8 საათამდე. [illegible] მისამართი: [illegible] ქუჩა № 35.